ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 30 იანვარი, 2023 №20 (9056) ფასი: 80 თეთრი

33 წლის ქართველი იტალიაში მაღაზიიდან თმის „ფენის“ მოპარვისთვის დააკავეს

გვ.5

„ნაციონალებში 5 ნოემრისა და პარტიის სახელისთვის იბრძვიან“

პაატა ზაქარეიშვილი: „მე ხმას ნიკა მელიას მივცემდი. ხაბეიშვილის გამარჯვებით ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ გაძლიერებას შეუწყობს ხელს“

გვ.2

„ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ნაციონალური მოძრაობა არ უნდა გაიყოს“

მურმან დუმბაძე: „სააკაშვილი წამების მსხვერპლია“

გვ.3

გვ.5

შალვა ხაჭაპურიძე: „10 თვე გახდება, რაც სააკაშვილი საავადმყოფოში იმყოფება. დედამიწის ზურგზე სად გაგვიგია ამ ტიპით სასჯელის მოხდა“

გვ.3

„მელიას სააკაშვილის ჩამოსვლა არ უნდოდა“

პეტრე მამრაძე: „მერაბიშვილმა კარგად იცის, რომ ასე იყო და მთავრობას საუბრების ჩანაწერები აქვს. ამიტომ არ უარყოფს, რომ მიშას არწმუნებდა, ჩამოსულიყო“

გვ.4

ზურაბ ჩხაიძე: „თუ ასე გაგრძელდა, სააკაშვილის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, რამაც შეიძლება ფატალურ შედეგამდე მიიყვანოს“

„ნაციონალებში ხალხი ერთმანეთს ფულის გამო უპირისპირდება“

ანზორ აბრალავა: „სააკაშვილის ჯანმრთელობა უნდა იყოს დაცული. რაც შეეხება გათავისუფლებას, აქ მთავარი უნდა იყოს სამართალი“

გვ.4

5 ჟურნალისტ მასიმ ალინეჯადის მკვლელობის მცდელობა საქართველოს მოქალაქეს ედება ბრალად

2 ირაკლი ზარქუა: „სააკაშვილი პატიმარია, მაგრამ, მერამდენე თვეა, „ლუქს“ პალატაშია. კეთილი ინებოს და დაემორჩილოს ექიმების რეკომენდაციას“

7 ისტორიული შედეგი — გუბანოვამ საქართველოს ყინულის ოქრო მოუტანა

1993230720223

„ნაციონალებში 5 ნომრისა და პარტიის სახელისთვის იბრძვიან“

პაატა ზაქარეიშვილი: „მე ხმას ნიკა მელიას მივცემდი. ხაბეიშვილის გამარჯვებით ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ გაძლიერებას შეუწყობს ხელს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

„ქართულ ოცნებას“ სჭირდება რადიკალური ნაციონალური მოძრაობა. მათ არაფრის არ ეშინიათ. „ოცნება“ დღეს ტანკივითაა, თუმცა მას სჭირდება წინააღმდეგობა, რომ გაამართლოს, რატომ არის ტანკი“

– ბატონო პაატა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ნაციონალურ მოძრაობაში პარტიის თავმჯდომარის არჩევნები მიმდინარეობს. საბოლოო შედეგი დღეს დილით, 10 საათზე გახდება ცნობილი. თუმცა საკმაოდ ბინძური წინასაარჩევნო კამპანია იხილა მათმა ამომრჩეველმა. რა დაემართა ამ პარტიას, ასე რატომ დაკარგა სახე, როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– ნაპოლეონს აქვს ასეთი სიტყვები: სიდიადიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. იმდენად გააბუქა და გააზვიადა ნაციონალური მოძრაობის ფასი თვითონ ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ სასაცილოდ გაიხადა საქმე. მეც კი, რომელსაც სულაც არ დამწყდება გული, რომ ნაციონალური მოძრაობა აორთქლდეს პოლიტიკური სცენიდან, მიმაჩნია, რომ ასე სამარცხვინოდ არ უნდა იქცეოდნენ. თავის თავს რომ ვნებენ, ჯანდაბას, ეს არ არის პრობლემა. ქვეყანას ვნებენ. ქვეყანაში საჭიროა ნორმალური ოპოზიცია.

– მოვისმინე შეფასებები, რომ დღეს ჩვენ ვუყურებთ ნაციონალური მოძრაობის დაშლას, ეს კი პირველ რიგში ქვეყანას აზიანებს, რადგან აუცილებელია, ხელისუფლებას ჰყავდეს ნორმალური ოპოზიცია.

– დიახ, მეც ზუსტად ასე ვფიქრობ. მე მაინც მგონია, რომ ქვეყანა არ დაიქცევა, კატასტროფა არ იქნება სახელმწიფოსთვის, თუ ნაციონალური მოძრაობა აორთქლდება. ბევრი დიდი პარტიის აორთქლება ვიხილეთ. ნაციონალური მოძრაობა არ იქცევა ღირსეულად. მათ შეეძლოთ, უფრო ძლიერები გამოსულიყვნენ ამ კრიზისიდან. არჩევნების ჩატარება შეიძლებოდა ღირსეულადაც. ბრძოლა მიმდინარეობს 5 ნომრისა და პარტიის სახელისთვის, ხოლო იმათ, ვინც დარჩება გარეთ, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათო, დაახლოებით ეს დამოკიდებულებაა, ანუ არ არის მცდელობა, რომ შეინარჩუნონ ერთობა. ისინი ცდილობენ, გარიყონ განსხვავებული აზრის მქონე ნებისმიერი სხვა ჯგუფი. სწორედ ამიტომ ვეძახი ნაცმოძრაობას ნეობოლშევიკურ პარტიას.

– მათივე ამომრჩევლისგან ვისმენთ შეფასებებს: იმდენად გაიფუჭეს იმიჯი, რომ თავმოყვარე ადამიანს მათ გვერდით გავლაც კი შერცხვებაო. რამდენად გამოიწვევს სერიოზულ იმედგაცრუებას ეს საღად მოაზროვნე ამომრჩეველში?

– გულგატეხილობას ნამდვილად გამოიწვევს, თუ რამე სერიოზული არ შესთავაზა ამის შემდეგ გამარჯვებულმა მხარემ თავის ამომრჩეველს.

– ბოლო წუთამდე ელოდნენ, მიხეილ სააკაშვილი რომელ კანდიდატს დაუჭერდა მხარს, თუმცა მისმა ინტერვიუმ, პირიქით, დიდი დაბნეულობა შეიტანა პარტიაში. თქვენ როგორ გაიგეთ ეს ყველაფერი?

– მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ მკაფიოდ თქვა, რომ ძალიან ნანობს, რომ არ გაათავისუფლა შინაგან საქმეთა მინისტრი გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ და ამით პირდაპირ დაარტყა ვანო მერაბიშვილს. სხვათა შორის, მერაბიშვილმა იმავენაირად არ უპასუხა. მისი პასუხი უფრო ზომიერი იყო. მან თქვა, რომ სკამებისა და ადგილისთვის არ ღირს ყველაფრის კადრება. მან სააკაშვილს მაინც მეგობარი უწოდა და დაინდო. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის ძალიან მტკივნეული გამოსვლა ამ კრიზისიდან. იმდენი რამე აკადრეს ერთმანეთს, რომ უკვე გაუჭირდებათ, ღირსეულად დააღწიონ თავი ამ ყველაფერს.

– ბატონო პაატა, სააკაშვილის ინტერვიუს წინ უძღოდა გიული ალასანიას ფარული ჩანაწერის გავრცელება. მართალია, ეს ფარული ჩანაწერია, მაგრამ პრეზიდენტის დედაც ზუსტად იმავეზე საუბრობს – რუსეთის აგენტები, მისი შვილის ჩამოტყუება და ასე შემდეგ. სააკაშვილმაც თქვა ინტერვიუში, რომ ჩამოიტყუეს და მას პარტიაში რუსეთის აგენტები ჰყავს.

– მე ძალიან კარგად მახსოვს თქვენთან ინტერვიუ მეორე დღესვე, როცა სააკაშვილი ჩამოვიდა. სწორედ ამას ვამბობ, რომ მიშა ვიღაცამ შემოიტყუა.

– ახდის ყველაფერს ფარდას სააკაშვილი, დაიწყო კარტების გაშლა?

– ძალიან ცუდია, როდესაც ამას სააკაშვილი ამბობს. საბავშვო ბაღის ბავშვია თუ რას ნიშნავს, შემოიტყუეს?! მას არ გააჩნია თავისი ხედვა, ცოდნა, ინფორმირებულობა?! გვერდზე მდგომმა ადამიანმა შესაძლოა დაუშვას, რომ მოატყუეს, მაგრამ, თვითონ როცა ამბობს, რომ მოატყუეს, ეს ხომ არასერიოზულია. როგორ შეიძლება, გენდოს კაცი? ამხელა პოლიტიკური გამოცდილება გაქვს და ვიღაცამ თვალსა და ხელს შუა მოგატყუა?! ამ ფონზე არ არის სწორი შენ გვერდით გამუდმებით მტრების ძებნა. სწორედ ესაა ბოლშევიზმი, სხვა კი არაფერი. ამითაა დაავადებული ქართველი საზოგადოება. ყველა პარტია, რომელიც კი მოდის, სულ ეძებს მტერს გარეთ. ნომერ პირველი ქართული პოლიტიკური ცოდვა უპასუხისმგებლობა, გამუდმებით პასუხისმგებლობის აცილება და სხვაზე გადატანაა, რასაც ახლა სააკაშვილი აკეთებს. ამ შემთხვევაში, მერაბიშვილი უფრო პასუხისმგებლობის მქონე აღმოჩნდა. ისევ და ისევ საკუთარ ამომრჩეველს დასწყვეტენ გულს, თორემ სხვას არავის ეწყინება ამ პარტიის გაქრობა.

– ვანო მერაბიშვილი ჩუმად შემოვიდა პარტიაში, ყველანაირი განაცხადის გარეშე და მაშინვე რუხი კარდინალის როლი მოირგო.

– პარტიაში არსებობს შიდა იურისდიქცია, ოჯახში, გარკვეულ ჯგუფში, სადაც ადამიანები თანხმდებიან გარკვეულ თამაშის წესებზე. თუ ნაციონალურ მოძრაობაში თანხმდებიან თამაშის წესებზე, სადაც რუხი კარდინალი მოსულა, მაშინ რატომღა ბრაზობ, შენ სასარგებლოდ თუ არ მუშაობს ეს რუხი კარდინალი?! რუხი კარდინალობა ქართულ პოლიტიკაში ბუნებრივი მოვლენაა, ჩვენდა სამწუხაროდ. თითქმის ყველა პარტიისთვის დამახასიათებელი იყო რუხი კარდინალობა. სულ არიან პარტიაში ისეთები, რომლებიც ცდილობენ, მართონ პარტია ისე, რომ თვითონ არ გამოჩნდნენ. ამას აკეთებენ ფულით ან სხვა გავლენებით. ამის მშვენიერი მაგალითია დღევანდელი სახელმწიფოს მართვა. რეალური პირველი პირი, ვინც მართავს სახელმწიფოს, არ ჩანს. ვგულისხმობ ბიძინა ივანიშვილს. ეს არის საბჭოური მეთოდი. ერთმა ამერიკელმა თქვა, საბჭოთა კავშირმა კი დატოვა საქართველო, მაგრამ საქართველოს არ დაუტოვებია საბჭოთა კავშირიო და ვიზიარებ სრულად. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ ჩვენში მაინც არსებობს. ეს რუხი კარდინალები სულ არიან ქართულ პოლიტიკაში, ჩვენ კი მხოლოდ მაშინ ვხედავთ, როცა ეს არ გვაწყობს.

– ბატონო პაატა, მართალია, ხმის მიცემის პროცესი დახურულია, თუმცა ვრცელდება ინფორმაციები, რომ ხაბეიშვილი იგებს. როგორია თქვენეული პროგნოზი, ვინ მოიგებს?

– მე ჩემს თავს ვერ ჩავთვლი ნაციონალური მოძრაობის სპეციალისტად. რადგან ჩემი პოზიცია გავლენას ვეღარ მოახდენს არჩევნებზე, გაზეთი რომ გამოვა, ეს არჩევნებიც დასრულდება. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი არ მეხატება გულზე, მე მაინც ხმას მივცემდი მელიას. ხაბეიშვილი ძალიან რადიკალური, კატეგორიული ფიგურაა. თავიდან ასეთი იყო მელიაც, მაგრამ მიხვდა, რომ რადიკალიზმით შორს ვერ წავიდოდა და უფრო ზომიერი გახდა. ნაციონალებმა უნდა იცოდნენ, რომ რადიკალიზმით შორს ვერ წავლენ, რადგან „ქართული ოცნება“ სულ სხვა პოლიტიკას სთავაზობს სახელმწიფოს – მშვიდობას, სიწყნარეს, „არა ომს“ და საზოგადოებაზე ეს მოქმედებს. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია სიმშვიდე და კომფორტი. ამ დროს ესენი სთავაზობენ რადიკალიზმს. და ვინ წაჰყვება მათ რადიკალიზმში?! ამიტომ მე მაინც ხმას მივცემდი მელიას. მელია უფრო ზომიერების, გონიერებისა და დიპლომატიის მომხრეა, ვიდრე ხაბეიშვილი და მე ნიკა მელია ბუნებით მომწონს, როგორც კონფლიქტოლოგს. თუ გაიმარჯვებს ხაბეიშვილი, ესე იგი გაიმარჯვებს რადიკალიზმი. ეს კი „ქართულ ოცნებას“კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს. შეთქმულების თეორიების მომხრეებმა შესაძლოა თქვან, რომ ხაბეიშვილი სპეციალურად შექმნა „ქართულმა ოცნებამ“.

– უკვე ბევრისგან მოვისმინეთ, რომ ის სიტუაცია, რომელიც ნაცმოძრაობაშია, ხომ აწყობს და აწყობს „ქართულ ოცნებას“, თუმცა განსაკუთრებულად აწყობს ხაბეიშვილის გამარჯვება. ჯერ ერთი, ის ვერ იქნება რეალური პარტიის ლიდერი, სულ წამოაძახებენ, რომ მის უკან მერაბიშვილი და კეზერაშვილი დგანან და ასევე არის რადიკალიზმის მომხრე.

– დიახ, სრულებით გეთანხმებით. „ქართულ ოცნებას“ სჭირდება რადიკალური ნაციონალური მოძრაობა. მათ არაფრის არ ეშინიათ. „ოცნება“ დღეს ტანკივითაა, თუმცა მას სჭირდება წინააღმდეგობა, რომ გაამართლოს, რატომ არის ტანკი. ამიტომ ხაბეიშვილის გამარჯვებით ნაციონალური მოძრაობა ხელს შეუწყობს „ქართული ოცნების“ გაძლიერებას. დღეს ვანო მერაბიშვილი არ არის პოპულარული ქვეყანაში. სწორედ მერაბიშვილთან არის დაკავშირებული ყველა ძალადობა და სააკაშვილმა ეს მიანიშნა კიდეც, რომ მერაბიშვილია ეს. ახლა მთელ სისხლიან 9 წელიწადს შეახოცავენ იმ ძალას, სადაც მერაბიშვილი დარჩება.

– ანუ თავიდანვე განწირულია ხაბეიშვილის ფრთა?

– კი, ასეა. რატომ ჰგონიათ, რომ მარტო ფულით წავლენ წინ?! ხაბეიშვილის რადიკალიზმი და მერაბიშვილის რეპუტაციული მიუღებლობა ამ ძალას განვითარების შანსებს უსპობს. მიხეილ სააკაშვილს იმდენად მხარი არ დაუჭერია ნიკა მელიასთვის, რამდენადაც ამ ინტერვიუთი დაარტყა ღევან ხაბეიშვილს. თუ მეორე ტური დადგა, ეს ბევრად საინტერესო მოვლენა იქნება.

– ჩვენ მეორე ტურისთვის არ გვცალიაო, უკვე განაცხადა ხაბეიშვილმა.

– ჰოდა, ეს ძალიან არასწორი და არადემოკრატიული განცხადებაა. პარტიის თავმჯდომარეობა უნდა და განცხადებებშიც ვერ მალავს, როგორი არადემოკრატია.

ირაკლი ზარქუა: „სააკაშვილი პატიმარია, მაგრამ, მერამდენე თვეა, „ლუქს“ პალატაშია. კეთილი ინებოს და დაემორჩილოს ექიმების რეკომენდაციას“

– ქალბატონ გიული ალასანიას უნდა უთხრათ, რომ პატიმარი სააკაშვილი კი არის პატიმარი, მაგრამ, მერამდენე თვეა, რაც „ლუქს“ პალატაშია? თავისუფლად გადაადგილდება, მოძრაობს, კეთილი ინებოს და დაემორჩილოს ექიმების რეკომენდაციას, მიიღოს ის საკვები და კალორიები, რაც დადგენილია, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ ჟურნალისტებთან საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას განაცხადა.

როგორც ზარქუა განმარტავს, მაშინ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილს დემენცია აქვს, ის საერთაშორისო ჟურნალისტებთან ინტერვიუში ჩვენებებს აძლევს.

– გაოცებული ვუსმენდი გიული ალასანიას განცხადებას. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვესმოდა, რომ პატიმარ სააკაშვილს ისეთი დაავადება აქვს, აქ მკურნალობა შეუძლებელია და აუცილებელია საზღვარგარეთ გადაყვანა. ჰოი საოცრება, გიული ალასანიამ თქვა, გავათავისუფლოთ, გადაუვადდეს სასჯელი და შემდეგ თვითონ იმკურნალებს საქართველოშიო. მერამდენედ უნდა ამხილონ საკუთარი თავი ამ სიცრუეში?! ამბობენ, რომ ცუდად არის, დემენცია აქვს, ჰყვებიან, რომ არაადეკვატურია და ადამიანი უკვე ჩვენებებს აძლევს ინტერვიუში საერთაშორისო ჟურნალისტებთან, საკუთარი გუნდის ნაწილს ამხელს, ვინ უღალატა, ვინ რუსული ინტერესების დამკვეთია და ასე შემდეგ. ამის ანალიზს აკეთებს პატიმარი სააკაშვილი და, არა მგონია, მას რაიმე ეტყობოდეს დემენციის.

მთელი ეს თვეები გვიმტკიცებდნენ, რომ ისეთი დაავადება სჭირს, მისი გადაყვანა საზღვარგარეთ აუცილებელია, ახლა კი თვითონ თქვა, კი ბატონო, საზღვარგარეთ კი არა, გავათავისუფლოთ და აირჩევს კლინიკას, სადაც იმკურნალებსო. გაოგნებული ვარ, 30-გვერდიანი დასკვნა გამოიტანეს. ამხელა გვერდებს იმიტომ წერენ, რომ იქ ჩამალონ, ლავირება მოახდინონ. სამხარაულის ექსპერტიზამ ხომ დაადასტურა, რომ არასწორი მიმართულებით აქვთ განვითარებული მსჯელობა. ჯიშკარიანი და „ემპათიაზე“ მოვიძიე და რამდენ თემაზე აკეთებს არასწორ დასკვნებს, სხვის ტრაგედიებზე როგორ წერდნენ... ქალბატონ გიულის უნდა უთხრათ, რომ პატიმარი სააკაშვილი კი არის პატიმარი, მაგრამ, მერამდენე თვეა, რაც „ლუქს“ პალატაშია? თავისუფლად გადაადგილდება, მოძრაობს, კეთილი ინებოს და დაემორჩილოს ექიმების რეკომენდაციას, მიიღოს ის საკვები და კალორიები, რაც დადგენილია. ამისკენ მოუწოდოს შვილს და დავალებულები ვიქნებით ყველა, – აღნიშნავს ზარქუა.

როგორც ზარქუა განმარტავს, მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ მისი საქართველოში ჩამოსვლა დაგეგმილი იყო და არა ის, რომ ხალხი და ქართული მიწა მოენატრა.

– მიხეილ სააკაშვილმა თავისი პირით აღიარა, რომ დაგეგმილი იყო ჩამოსვლა და არა ის, რომ ხალხი და ქართული მიწა-წყალი მოენატრა. დაუგეგმეს მათ შორის საზღვრის დარღვევით შემოსვლა, არაჟნებში ჩაჯდომა. მე არ გამოვრიცხავ, ცოტა ხანში გვარებიც დაასახელოს. გინდ რუსეთის აგენტურა დაარქვით, გინდ დასავლეთის, ხომ თქვა და აღიარა, რომ ეს ადამიანი უცხოელი სპეცაგენტების დაგეგმვით ჩამოდიოდა, უნდოდა, ჩვენი სახელმწიფო ჩამოეშალა და რევოლუცია მოეხდინა. ამით დამთავრდა მათი ცრუ პატრიოტიზმი, დამთავრდა მათი ცრუ სამშობლოს სიყვარული. ამას ჩვენ ყოველთვის ვამბობდით. ახლა თავისი ამომრჩეველიც დაარწმუნა. ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში. ერთიც და მეორეც – ყველანი არიან ვიწრო სექტის მიმდევრები, – აღნიშნავს ზარქუა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ნაციონალური მოძრაობა არ უნდა გაიყოს“

მურმან დუმბაძე: „სააკაშვილი წამების მსხვერპლია“



ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ლევან ხაბეიშვილის მომხრეების განცხადებით, არავითარი მეორე ტური არ იქნება, რადგან ხმათა უმრავლესობა უკვე დააგროვა ხაბეიშვილმა. თქვენ ვის მხარეს ხართ ამ არჩევნებში?

– მე ვარ პარტია ნაციონალური მოძრაობის გულშემატკივარი. მხოლოდ გარედან დამკვირვებლის პოზიციიდან შემიძლია გითხრათ, რომ მხარს ვუჭერ დემოკრატიულ პროცესს. ესეც აშკარაა, რომ ვიღაც დამარცხდება და ვიღაც გაიმარჯვებს, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, დამარცხებულმა მხარემ აღიაროს გამარჯვებული და, რაც მთავარია, უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

– თუ პარტია გაიყოფა?

– ეს იქნება ყველაზე ცუდი, რაც კი შეიძლება, ამ არჩევნებს მოჰყვეს. ეს არ უნდა მოხდეს. ეს მთლიანად პროცესს ავნებს, იმ დიდ პროცესს, რომელსაც ხელისუფლების ცვლილება ჰქვია. ყველა კვლევამ აჩვენა, რომ ერთიანი, ძლიერი ნაციონალური მოძრაობის გარეშე „ქართული ოცნება“ ვერ მარცხდება. ამიტომ ახლა გაყოფისა და დაშლის დრო არ არის. პირიქით, ახლა გამსხვილების, გაერთიანების დროა. ეს უნდა გავაკეთოთ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ნაციონალური მოძრაობის გაყოფამ რა გამოიწვია, ეს უკვე ვნახეთ. 2016 წელს პარტიის გაყოფამ დიდი დარტყმა მიაყენა პარტიას, მაგრამ ბევრად უფრო დიდი დარტყმა მიიღო იმ განაყოფმა, რომელმაც პარტია დატოვა. მათი რეიტინგი 1-2 პროცენტია. ამიტომ ეს ძალიან კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ყველასთვის, პირველ რიგში მათთვის, ვისაც აზრად მოუვა, რომ პარტიას გაემიჯნოს.

– რით ხსნით ამ მოცემულობას?

– ერთადერთი ფაქტორით – ეს არის მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი. სადაც არის სააკაშვილი, იქ არიან მისი მხარდამჭერები. დღემდე ნაციონალური მოძრაობა მიხეილ სააკაშვილზე, მის ფიგურაზე დგას. ის არის ლიდერი, რომელსაც მხარდამჭერები არ მოჰკლებია, პირიქით.

ეს აჩვენებს იმ რეალობას, რომ ბიძინა ივანიშვილის დამარცხება მიხეილ სააკაშვილის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია.

– სააკაშვილმა თქვა, რომ მას ქართული პოლიტიკა არ აინტერესებს.

– გასაგებია, ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება. მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტპატიმარი, რომელიც წამების, არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია. ამიტომ სავსებით გასაგებია მისი პოზიცია. მე ფაქტზე გელაპარაკებით, სუფთა მათემატიკაზე.

ცალკე ვერცერთი პოლიტიკური პარტია ვერ აგროვებს 50 პროცენტს. წვრილ-წვრილი პარტიები 3-4– პროცენტიან შუალედში არიან, ამიტომ საჭიროა დიდი ერთობა, კოალიცია, რომელიც უნდა შეიქმნას ნაციონალური მოძრაობის გარშემო ან პირიქით, შეიძლება, იმ სამპროცენტიან პარტიებთან მივიდეს ნაციონალური მოძრაობა. ვინაიდან მიზანი ძალიან დიდია, ყველამ უნდა შეძლოს საკუთარ ამბიციებზე მაღლა დადგომა.

თუ ასეთი სახიფათო არ იქნებოდა „ქართული ოცნება“, არც არავინ არ იფიქრებდა გაერთიანებაზე, მაგრამ ხელისუფლება ძალიან სახიფათო კურსს დაადგა. მან შეცვალა ქვეყნის საგარეო ვექტორი. 24 თებერვალს გაკეთებული განცხადება სხვა არაფერია, თუ არა კურსის ცვლილება.

გლობალურად თუ შევხედავთ ვითარებას, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა უკრაინის გამარჯვებაა, უკრაინის წარმატება რუსეთზე, რომ რუსეთი არ მიადგეს მოლდოვასა და საქართველოს. რუსეთისგან ვერავინ ვერ გვიხსნის, თუ არა რუსეთის დაჩოქება და დამარცხება უკრაინაში. ეს კარგად უნდა გვესმოდეს. თუ უკრაინას გაუჭირდება და ვერ შეძლებს ომის მოგებას, რუსეთი ნამდვილად აღადგენს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირს, პირდაპირი მნიშვნელობით გადაგვივლის.

– გია ვოლსკის განცხადებაზე მინდა გკითხოთ: „შპიგელთან“ ინტერვიუმ გამოაჩინა, რომ არავითარი დემენცია სააკაშვილს არა აქვს.

– გია ვოლსკი ყველაფერში კვალიფიცურია. როგორც ჩანს, არა მხოლოდ კვალიფიციური ცეკას ინსტრუქტორი და პოლიტიკოსია, კვალიფიციური ექიმიც ყოფილა. მე არ ვარ ექიმი და ამიტომ სამედიცინო დიაგნოზებზე ვერაფერს გეტყვით. მე მხოლოდ ამერიკელ, ევროპელ, ქართველ ექიმებზე დაყრდნობით შემიძლია ვისაუბრო. ვოლსკი და მთელი „ქართული ოცნება“ იმასაც ამბობს, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარი არ არის, მაგრამ, მე ვიცი, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია, თან წამების მსხვერპლია.

„მელიას სააკაშვილის ჩამოსვლა არ უნდოდა“

პეტრე მამრაძე: „მერაბიშვილმა კარგად იცის, რომ ასე იყო და მთავრობას საუბრების ჩანაწერები აქვს. ამიტომ არ უარყოფს, რომ მიშას არწმუნებდა, ჩამოსულიყო“



გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, სააკაშვილმა „შპიგელთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი საქართველოში ჩამოსვლა რუსეთის ჩანერგილმა აგენტებმა დაგეგმეს. ამაზე რას იტყვით?

– საქართველოში ჩამოსვლა თვითონ სააკაშვილს უნდოდა. ვინაიდან არაადეკვატური იყო, რეალობას ადეკვატურად ვერ აღიქვამდა, მის გეგმებში ყველაფერი ძალიან კარგად ეწყობოდა ერთმანეთს, ეგონა, საქართველოში მისი ჩამოსვლა სრული პოლიტიკური გამარჯვებით დასრულდებოდა.

ახლა ლაპარაკია იმაზე, ამას ხელს ვინ უწყობდა, ვინ ეუბნებოდა, მიშა, ჩამოდი, ჩამოდი, ყველაფერი ისე იქნება, შენ რომ გინდა, სრულიად უსაფრთხოდ იქნები, ყველაფერი მომზადებული მაქვს, ვინ ეუბნებოდა, არ ჩამოხვიდეო.

ცნობილია, რომ მელიას სააკაშვილის ჩამოსვლა არ უნდოდა. მელიას სააკაშვილის დაპატიმრება კი არ ანაღვლებდა, არამედ თავისი პირადი გეგმების გამო სააკაშვილის ჩამოსვლა არ აწყობდა, მაგრამ ჩვენ ვიცით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საჯარო განცხადება.

– რას გულისხმობთ?

– სააკაშვილის დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში, როდესაც სადღაც ღონისძიებაზე ჟურნალისტებმა შეუტიეს, ღარიბაშვილმა განაცხადა, ვინც ყველაზე მეტად სააკაშვილს თავს აწონებდა, რომ მისი ჩამოსვლისთვის ყველაფერი მზად იყო, ვანო მერაბიშვილიაო.

ყურადსაღებია ის, რომ ვანო მერაბიშვილმა ამაზე დღემდე არავითარი რეაგირება არ მოახდინა. წელიწადი და რამდენიმე თვეა გასული, მაგრამ ამაზე მერაბიშვილს არაფერი არც უთქვამს, არც დაუწერია. ხომ შეეძლო, დაეწერა, მსგავსი არაფერი ყოფილა, კონტაქტი საერთოდ არ მქონია, ან კონტაქტი მქონდა, მაგრამ ვეუბნებოდი, არავითარ შემთხვევაში არ ჩამოხვიდეო.

– თუმცა მერაბიშვილმა ახლა მოახდინა რეაგირება სააკაშვილის განცხადებაზე (რომელმაც თქვა, საქართველოში რუსეთის ჩანერგილმა აგენტებმა ჩამომიყვანესო) და რუსეთთან თანამშრომლობა უარყო. სხვათა შორის, სააკაშვილის ამ განცხადებაში ბევრმა მერაბიშვილი იგულისხმა.

– თანამშრომლობა უარყო, მაგრამ პრემიერის განცხადება არც მაშინ უარყო და არც ახლა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მერაბიშვილმა კარგად იცის, ასე იყო და მთავრობას საუბრების ჩანაწერები აქვს.

– *კი მაგრამ, რუსეთის ჩანერგილი აგენტების შესახებ სააკაშვილის განცხადების ისრები უკრაინაზე გადააქვთ. სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ თქვა, აქ კი არა, უკრაინაში არიან ჩანერგილი აგენტებიო.*

– აგენტები რუსეთს საქართველოშიც ჰყავს, მათ შორის გავლენის აგენტები და უკრაინაშიც. უკრაინაში აგენტები იყვნენ და არიან, მათ შორის მაღალ თანამდებობებზე. ის რად ღირს, დღემდე რომ ვერ „გამოიძიეს“, ვინ გასცა ბრძანება, ყირიმიდან ხერსონისკენ გადმოსასვლელი გაენაღმათ, რის გამოც რუსულმა ტანკებმა ყირიმიდან გაიარეს და ხერსონს დაბრკოლების გარეშე მიადგნენ. არადა, საგანგებოდ იყო დანაღმული.

ეს უშუალოდ 24 თებერვლის წინ გაკეთდა. პუტინს სწორედ აგენტების იმედი ჰქონდა, რომ უკრაინაში ოპერაცია 2-3 დღეში რუსეთის სრული გამარჯვებით დამთავრდებოდა. ეს სულ სხვა საქმეა.

სააკაშვილს თვითონ ძალიან უნდოდა ჩამოსვლა. როცა თვითონ უნდა ადამიანს, იჯერებს იმას, რაც თვითონ უნდა. სააკაშვილს კარგად ვიცნობ. ის სიამოვნებით ისმენდა იმას, რაც მას სიამოვნებდა და არ ისმენდა იმას, რაც მისთვის სასიამოვნო არ იყო. ამ მხრივ მერაბიშვილის ფიგურა იკვეთება.

– როგორ?

– ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ მერაბიშვილი დააპატიმრეს აეროპორტში, როდესაც ქვეყნიდან ყალბი პასპორტით გადიოდა.

აეროპორტის მუშაკებმა, მათ, ვინც მგზავრებს ატარებენ, ძალიან კარგად იციან (რაც არაერთხელ მოგვისმენია), რომ მერაბიშვილი ამ ყალბი პასპორტების გამოყენებით (ცხადია, მას სახეზე ცნობდნენ) ძალიან ხშირად ერევანში, ბაქოსა და მინსკში დადიოდა და იქ რუსეთის უშიშროებისა და შს მინისტრებს ხვდებოდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ 2008 წელს, შემოდგომაზე, მერაბიშვილმა სააკაშვილს პირდაპირ უთხრა: მიშა, მიშა, ახლა ხომ იცი, რუსების გარეშე ვეღარ გავძლებთ, ხელისუფლებაში ვერ დავრჩებით, ხომ იცი, მე რუს მინისტრებთან პრობლემა არ მაქვსო. ამიტომ მერაბიშვილმა სააკაშვილისაგან მწვანე შუქი მიიღო: მიდი, ურთიერთობა მოაგვარეო. იცით, რუსებს რა დიდი საქმე გაუკეთეს 2008 წლის აგვისტოში? რუსის ჯარი უკან მოიყვანეს და ცხინვალსა და აფხაზეთში ბაზები დააყენებინეს, რუსეთს საშუალება მისცეს, ჩვენი ტერიტორიები დამოუკიდებელ სუბიექტებად ეცნო.

ცნობილია, რომ სააკაშვილმა ამოაშლევინა სარკოზის ხელშეკრულებაში მე-6 პუნქტი, რომელიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს იცავდა, რომ რუსეთს ეს რეგიონები ვერ ეცნო. სააკაშვილმა კი თავისი ხელით ამოშალა. ამის შემდეგ ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთს გადასცეს, მათ შორის ჰესები, ენერგობლოკები. ყველა ობიექტს არ ჩამოვთვლი.

მათ შორისაა ენგურჰესთან დაკავშირებით 2008 წლის დეკემბერში საიდუმლო ოქმის გაფორმება. რუსი ანალიტიკოსები მაშინ ღიად წერდნენ, ამათზე უკეთესს საქართველოში ვერ ვიპოვიდით, როგორიც სააკაშვილიაო.

– ყველაფრის მიუხედავად, რის გამოც ნაცები ვითომდა რუსეთს უპირისპირდებიან, ახლახან გავრცელებულ აუდიოჩანაწერში ჩანს, რომ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლაზე გიული ალასანიას რუსეთის აზრი აინტერესებს და არა – დასავლეთის. ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ თავიდანვე ასე იყო, 2003 წლის პირველი დღეებიდან, როცა ივანოვი ჩამოვიდა და სააკაშვილს მხარი დაუჭირა. გახსოვთ, რუსთაველზე მიტინგზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი გამოდიოდა და იძახდა, საქართველოს გაუმარჯოსო.

თემურ ალასანია ხაზს უსვამს: ახლა მთავარია, რას ფიქრობენ ამაზე რუსეთში. მუდამ ასე იყო. სააკაშვილის ბიძა, რომელსაც რუსეთის პრესაში ყოველთვის რუსეთის კგბ-ს გენერლად მოიხსენიებდნენ, იმ დღეებში ამბობდა, ჩემ გარეშე მიშა არცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არც იღებს და არც მიიღებსო.

– სააკაშვილი და ნაცმოძრაობა დასავლეთსაც არ აინტერესებს?

– დასავლეთის მხრიდან არავითარი ინტერესი არ არის. ვგულისხმობ არა სააკაშვილის ლობისტებს. მათი რიცხვი თითზე ჩამოსათვლელია.

სააკაშვილის ლობისტებს არცერთ მთავრობაში დიდი ძალა არა აქვთ, გარდა უკრაინისა. დასავლეთში – არც – ამერიკაში და არც ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში სააკაშვილის ლობისტებს მთავრობასა და პოლიტიკაში არსებითი წონა არა აქვთ, განცხადებებს კი აკეთებენ.

სააკაშვილის განცხადებები საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ საქართველოში ჯავრი გამოიწვიონ, აი, დასავლეთი რას გვიშვრებაო, მაგრამ რეალური არაფერია. სააკაშვილი დღემდე პოლიტპატიმრად არავინ ცნო. არცერთი მთავრობის მხრიდან ამაზე ერთი განცხადებაც კი არ გაკეთებულა.

– თქვენ თქვით, რუსეთის მხრიდან სააკაშვილისა და ნაცების მიმართ ინტერესი არ არისო. სააკაშვილი ამბობს, საქართველოში რუსეთის აგენტებმა ჩამომიყვანესო.

– ჩემი გამოცდილებით, ხომ იცით, სად ვმუშაობდი და რამდენი ინფორმაცია მქონდა.

კრემლიდან სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლაზე აკრძალვა არ ყოფილა.

– სულ მცირე „აკრძალვა არ ყოფილა“, მაგრამ, არ შეიძლება, ასარევად გამოეგზავნათ?

– გამორიცხული არ არის, მაგრამ ამის ისეთი მყარი საფუძველი არა მაქვს, რომ ვთქვა, დიდი ალბათობით, ასე იყო. სულ ცოტა ინფორმაციას მიაწვდიდნენ, რადგან, თუ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას ტელევიზიით ან სხვა წყაროებით გაიგებდნენ, ისინი გენერალ ალასანიას ამ კითხვას მაშინვე დაუსვამდნენ – დაგვიმალე?

კრემლში ძალიან ხისტი ურთიერთობაა. ამიტომ ვამბობ: სულ ცოტა კონტაქტი შედგა. გიული ალასანია სწორედ ამას გულისხმობს, როცა ამბობს, რას იფიქრებენო. ვინაიდან ასეთ საქმეებში ჩახედული ვარ, ჩემთვის თავიდანვე აშკარა იყო, რატომ კეთდებოდა გავრილოვის ღამე.

დათო ტურაშვილი: „ძალიან დიდი სტრესი მივიღე“



მწერალმა დათო ტურაშვილმა გადაცემაში „მე-17 სართული“ საზოგადოებაში არსებულ პრობლემაზე ისაუბრა.

დათო ტურაშვილის თქმით, ბევრი მიდის თბილისიდან, რადგან დედაქალაქში ძალიან დიდ სტრესს იღებენ.

– გადაცემაში რომ მოვდიოდი, ძალიან დიდი სტრესი მივიღე, ისეთი საცობი გამოვიარე. შაბათია და, წესით, ხომ უპრობლემოდ უნდა მოვსულიყავი. რა დაგეგმარება გვაქვს ასეთი, შაბათ და კვირასაც რომ ვერსად წახვალ, არ ვიცი, – ამბობს დათო ტურაშვილი.

მისი თქმით, სიტყვა სოფლელს, როგორც წესი, ყველა არასწორად ვიყენებთ ხოლმე.

– ყველაზე მეტი სოფლებში თბილისელები მიდიან! აქ უკვე სუნთქვაც კი შეუძლებელია. ამას რომ თავი დავანებოთ, რამხელა აგრესიაა, რომელიც სოციალურ ქსელში კარგად ჩანს. ყველგან ჩვენი სამშობლოა, არ არის აუცილებელი, მრგვალ ბაღთან ცხოვრობდე, რომ საქართველოს მოქალაქე გერქვას, არ არის აუცილებელი, დეპუტატი გახდე იმისთვის, რომ ფული იშოვო და ვაკეში ბინები იყიდო, – ამბობს დათო ტურაშვილი.

„ნაციონალებში ხალხი ერთმანეთის ფულის გამო უპირისპირდება“

ანზორ აბრალავა: „სააკაშვილის ჯანმრთელობა უნდა იყოს დაცული. რაც შეეხება გათავისუფლებას, აქ მთავარი უნდა იყოს სამართალი“

მარიამ მჭედლიშვილი

რა ნიშნავს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ისინი, ვინც ის საქართველოში ჩამოიტყუა, რუსეთის დავალებით მოქმედებენ? რას მოასწავებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე დავიდარაბა? რა სიტუაციაა პოლიტიკურ ველზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს ანზორ აბრალავას.

– მიხეილ სააკაშვილმა „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში არ გამორიცხა, რომ ისინი, ვინც საქართველოში მისი ჩამოსვლა დაგეგმა, რუსეთის აგენტები არიან. ამას მოჰყვა ვანო მერაბიშვილის საპასუხო ბრალდება. რას იტყვით ამაზე?

– სააკაშვილისა და მისი ჯგუფის პოლიტიკაში გააქტიურება იმთავითვე იყო რუსული პლატფორმა. ეს პროცესები გააქტიურდა 2001 წელს, 2003 წელს კი ამ ჯგუფმა ხელში ჩაიგდო მთელი ხელისუფლება. სააკაშვილისა და მისი გუნდის საქმიანობა იყო რუსული კარტი. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს ხალხი იღებდა დაფინანსებას რუსეთიდან. სააკაშვილი და მისი გუნდელები რუსებს ეუბნებოდნენ, რომ შევარდნაძე რუსეთს ეთამაშება და სანდო არ არის. სააკაშვილამდე შევარდნაძემაც ბევრი მიქარა – აფხაზეთი ჩააბარა, გააფორმა სოჭის შეთანხმება, შეიყვანა საქართველო დსთ-ში. ეს ყველაფერი მოვლენათა ერთი გრძელი ჯაჭვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ივანოვის ერთ ჩამოსვლას მოჰყვა შევარდნაძის წასვლა, მეორე ჩამოსვლას – აბაშიძის წასვლა. საგარეო უწყების ხელმძღვანელი შემთხვევით არ ყოფილა იმ ამბებში ჩართული. რუსეთს უნდოდა იმის ჩვენება, რომ ეს პოლიტიკური პროცესია და არა – სამხედრო. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლიდურობისთვისაც ჩააბეს ამ საქართველოს ამბებში. სააკაშვილის უკან იდგა რუსეთი, ამასთან, ის და მისი მომხრეები ხელისუფლებაში მოდიოდნენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სახელით. ისინი ინიღბებოდნენ ამ ლოზუნგებითა და რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებით.

– ახლანდელი განცხადება რას ნიშნავს? ამან ცუდი საქმე გაუკეთა მერაბიშვილის პროტეჟე ხაბეიშვილს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში თავმჯდომარის არჩევნების წინ?

– ამის ახსნა რთულია, იმიტომ, რომ ეს ხალხი არის არაადეკვატური. ეს ადამიანები ყოველთვის უცნაურები იყვნენ, უცნაურად მოქმედებდნენ. სააკაშვილის დედის განცხადება ცხადყოფს, რომ მას (ცხადია, თვითონ სააკაშვილსაც) რუსეთის იმედი ჰქონდა, როცა 2001 წელს ნაპრეზიდენტალი საქართველოში შემოდიოდა.

– მხედველობაში გაქვთ გავრცელებული აუდიოჩანაწერი (ამ ჩანაწერს გიული ალასანია უარყოფს), სადაც ის რუსეთზე საუბრობს?

– რასაკვირველია. ამ ჩანაწერით დასტურდება ის, რაზეც ახლა ვსაუბრობ და რაზეც წინა წლებშიც მისაუბრია „ახალ თაობასთან“. ეს არის სააკაშვილისა და მისი პარტნიორი პოლიტიკოსების ფარული და ზოგჯერ აშკარა კავშირი რუსეთთან. რუსებს ყოველთვის აწყობდათ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ისეთი ხელისუფლებების მოსვლა, რომლებიც მათ სამხედრო ამოცანების შესრულებაში დაეხმარებოდნენ. ამიტომ მოხდა საქართველოში 1992-93 წლების, ასევე, 2008 წლის მოვლენები. უკრაინაშიც ამიტომ მიმდინარეობს ომი. არესტოვიჩს რომ ვაკრიტიკებდი, ზოგი არ მეთანხმებოდა. ახლა სულელური და პროვოკაციული განცხადებების ავტორი არესტოვიჩი უკრაინაში გადაყენებულია.

– საქართველოში დღემდე ფართოდ ინერგება ნარატივი იმის შესახებ, თითქოს სააკაშვილი ამერიკელების შემოგზავნილია. აღნიშნული განცხადებები და თქვენი მოსაზრებებიც ამას მთლიანად აბათილებს?

– ბუნებრივია. ამის გავრცელებაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან მოქმედებს რუსეთის სპეცსამსახურების ტექნოლოგიები. რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით ვიღაცამ უნდა ამტკიცოს, რომ სააკაშვილი ამერიკელების დავალებით შემოვიდა.

– ამ დღეებში ნაციმოძრაობაში მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას სხვადასხვა ადამიანმა ახსენა „პოლიტიკური ველის გათავისუფლება“. მათი აზრით, პარტიაში თავმჯდომარის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ველი სხვებისთვისაც გაიხსნება. რა აზრი გაქვთ ამაზე?

– ჩემი აზრით, პოლიტიკური ველი ისედაც ცარიელია. ეს, თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინაც მითქვამს. პარტიები არსებობდნენ (განსაკუთრებით, ოპოზიციურ ფლანგზე), თუმცა ისინი პოლიტიკით არ იყვნენ დაკავებული, პოლიტიკოსები არ იმსახურებდნენ ხალხის ნდობას. უბედურება ის არის, რომ საზოგადოება უყურებს ამ პოლიტიკურ ცირკს და არაფერში არ მონაწილეობს. ზოგი ადამიანი პასიურია, ზოგს არ უსმენენ, ტრიბუნას არ აკარებენ, პოლიტიკურ ველზე არ აჭაჭანებენ.

– საზოგადოების წარმომადგენლები ხანდახან აქტიურობენ. მაგალითად, 24 თებერვალს, უკრაინაში რუსეთის შეჭრის წლისთავზე, საზოგადოებაც აპირებს აქციაში ჩართვას. იგეგმება ახალი მოძრაობა, რომელსაც უწოდებენ ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საზოგადოების მონაწილეობით.

– დიახ, იგეგმება ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყება. ამაში ჩაბმული არიან გიორგი ვაშაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია. მათ აქვთ ჩამოყალიბებული იმიჯი და ამ იმიჯს ვერ შეიცვლიან. რა სახელიც არ უნდა დაირქვან, ეს პოლიტიკოსები მომხრეებს ვერ შეიმატებენ. რაც შეეხება საზოგადოებას, მე ვსაუბრობ დიდ, მასშტაბურ საზოგადოებრივ გაერთიანებაზე, საზოგადოების რეალურ გააქტიურებაზე. დიდმა გაერთიანებამ უნდა წარმოადგინოს ფუნდამენტური პოლიტიკური პროექტი, პროგრამა. დასანანია, რომ საზოგადოებას არავინ არაფრად აგდებს.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– მაგალითად, მეცნიერებათა აკადემია ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ნაშრომის წარდგენას. ეს ნაშრომები ეხება საქართველოს განვითარებას. ამის მიმართ ნულოვანი ყურადღებაა. ტელეკომპანიებში სტუმართა ერთი და იგივე ჯგუფი ტრიალებს. სხვას ეთერს არ აკარებენ. სამწუხაროა, რომ ტელევიზიები ბიზნესს (ეს არალეგალური ბიზნესია) მისდევენ და სტუმრების მოწვევა უმეტესად ანგარებით ხდება.

საჭირბოროტო საკითხები ქვეყანაში საერთოდ არ განიხილება. მუდმივად ყველგან ლაპარაკია იმაზე, რომ სააკაშვილი ცუდია და ივანიშვილი – კარგი ან პირიქით, მიდის კინკლაობა. ნაციმოშიც ერთმანეთს ხრავენ. ამ პარტიის ჯგუფები ერთმანეთს რუსეთისადმი სამსახურს უხსენებენ.

გამოქვეყნდა სააკაშვილის დედის საუბარი, ასევე რურუას განცხადება მერაბიშვილზე. შემდეგ იყო ის, რაზეც თავიდან მკითხეთ. ამ შემთხვევაში ერთი მხარეც მართალია და მეორეც. ნეიტრალური ადამიანები ასკვნიან, რომ ყველა ნახსენები პირი, მართლაც, რუსეთს ემსახურებოდა. უმეტესად ეს კეთდებოდა რუსეთის გინების თანხლებით. თუმცა, იყო აშკარა მომენტებიც. მაგალითად, 2008 წლის ომის დროს სააკაშვილის გუბერნატორები დაუფარავად უწევდნენ მეგზურობას საქართველოში შემოჭრილ რუს სამხედროებს. სააკაშვილის გარემოცვა უთანხმდებოდა რუს სამხედროებს სტალინის ძეგლის აფეთქებაზე და სხვა.

– საჯარო კინკლაობა ნაცმოს წევრებსა და ჯგუფებს შორის რამდენად მოქმედებს ამ პარტიის ელექტორატზე?

– პარტიის ელექტორატი, ალბათ, გაიყოფა ამ ჯგუფებს შორის. თვალსაჩინოა ის, რომ ნაციონალური მოძრაობა სრულიად დისკრედიტირებულია. ჩემი დაკვირვებით, ეს ხალხი ერთმანეთს ფულის გამო უპირისპირდება. მათ ჩხუბი მოსდით პარტიის თანხების განაწილებასა და კონტროლზე. იმას, რასაც ოლიგარქიას ვუწოდებთ, აქ, ნაცმოძრაობაში, გამოკვეთილია. მაგალითად, გამდიდრებული კეზერაშვილი აკონტროლებს მედიას და ჩართულია პოლიტიკაში. იმავეს თქმა შეიძლება სხვა პარტიის ლიდერ ხაზარაძეზე.

– სასჯელაღსრულების სამსახური და იუსტიციის სამინისტრო ეჭვის ქვეშ აყენებენ ორგანიზაცია „ემპათიის“ დასკვნასა და მის დიაგნოზებს სააკაშვილის ჯანმრთელობაზე. ეს რის მომასწავებელია?

– დიაგნოზების სიზუსტეს ვერ შევაფასებ. ალბათ, სახელმწიფო ორგანოებს აქვთ საფუძველი, ეჭვი შეიტანონ „ემპათიის“ დასკვნებში. სააკაშვილის ჯანმრთელობა მაწუხებს. მინდა, რომ ის კარგად იყოს. რაც შეეხება საუბრებს იმაზე, რომ ის უცნაური გახდა, ასეთი საუბრები გასაკვირია. სააკაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა ექსცენტრულობითა და არათანმიმდევრულობით. თუ რუსეთმა „გადაადგო“, ესეც არ არის გასაოცარი. თავის დროზე რუსეთმა ზურგი აქცია ჰონეკერს, ასევე – ნაჯიბულას. მელიამ თქვა, მეგონა, სააკაშვილზე ხელისუფლება აქვეყნებდა კომპრომატებს, აღმოჩნდა, რომ ამას მერაბიშვილი აკეთებდაო. სააკაშვილის ჯანმრთელობა უნდა იყოს დაცული, რაც შეეხება გათავისუფლებას, აქ მთავარი უნდა იყოს სამართალი. ბრაზილიაში ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო ლულა და სილვამ (ლულამ), რომელიც კორუფციული ბრალდების გამო ციხეში იჯდა. ხანდახან პრეზიდენტებსაც აპატიმრებენ. ისინი ამას მშვიდად და მედგრად იტანენ.

გიული ალასანია: „გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მიშა უარს ამბობს გადასხმებზე. იმაზე მეტი უტარდება, ვიდრე მანამდე“

– გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, (მიხეილ სააკაშვილი) უარს ამბობს გადასხმებზე. რეალურად, 2-ჯერ იმაზე მეტი გადასხმა უტარდება, ვიდრე მანამდე. ერთადერთი, ხელოვნურ კვებაზე ამბობს უარს, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ „ვივამედის“ დატოვებისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს აღენიშნება ტემპერატურა და ხველა.

– კოვიდის მეშვიდე დღეა, კრიტიკული დღეები გვაქვს, ამიტომ 38.4 ჰქონდა ტემპერატურა და აქვს ხველა. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს უარს ამბობს გადასხმებზე. რეალურად, 2-ჯერ იმაზე მეტი გადასხმა უტარდება, ვიდრე მანამდე. ერთადერთი, ხელოვნურ კვებაზე ამბობს უარს. ინვალიდის ეტლს იყენებს, 2 ნაბიჯს ვერ დგამს აბაზანამდე. ვერ დგამს ფეხს, ლამის ჩემი წონა გახდა ამსიმაღლე ადამიანი, – აღნიშნავს ალასანია.

ზურაბ ჩხაიძე: „თუ ასე გაგრძელდა, სააკაშვილის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, რამაც შეიძლება ფატალურ შედეგამდე მიიყვანოს“

– მიხეილ სააკაშვილისთვის სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად შეთავაზებული იყო ინფუზიური თერაპია, რომელიც მისი ორგანიზმისთვის აუცილებელია. ამაზე მან კატეგორიული უარი განაცხადა. თუ ასე გაგრძელდება, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. მინდა მოვუწოდო ოჯახის წევრებს, ქალბატონ გიულის, რომ იქნებ მოხდეს ადამიანის დარწმუნება, რომ დაექვემდებაროს ექიმის მკურნალობას, სხვა შემთხვევაში ამან შეიძლება მართლა მიიყვანოს ფატალურ შემთხვევამდე, – ამის შესახებ კლინიკა „ვივამედის“ დირექტორმა ზურაბ ჩხაიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მან ჟურნალისტებთან მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პაციენტმა შეამცირა იმ საკვების მიღებაც კი, რომელსაც აქამდე იღებდა.

– ჩვენ წინა დღეებში ვისაუბრეთ, რომ კოვიდინფექცია, რომელიც ახლა მას აქვს, შედარებით მსუბუქი ფორმით იყო გამოხატული ლაბორატორიული და სუბიექტური მონაცემებითაც. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ დღემდე სტაბილური რჩება ჰემოდინამიკური და რესპირატორული მაჩვენებლები, ანუ სატურაცია ნორმის ფარგლებშია და ამ ეტაპზე დამატებითი ჟანგბადის მიწოდებასაც არ საჭიროებს. მაგრამ, მე მინდა განვაცხადო, ბატონი სააკაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამს მიმდინარე სასამართლო პროცესების მიმართ, უკმაყოფილებას გამოთქვამს თუნდაც კოვიდშეფასების მიმართ, ის, რაც რეალობაა და რა რეალობაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ საკვებს იღებს არა იმ კალორაჟითა და რაოდენობით, რაც არის რეკომენდებული. მან ბოლო დღეებში, განსაკუთრებით გუშინდელი დღის შემდეგ, საერთოდ შეამცირა ამ კალორაჟის საკვების მიღება. საკვები დანამატების მიღებაზეც უარი განაცხადა.

კლინიკა ყველაფერს აკეთებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად. შეთავაზებული იყო ინფუზიური თერაპია, რომელიც მისი ორგანიზმისთვის ორგანოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ არ მოხდეს რაიმე გართულება, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა. ამიტომ, მინდა გითხრათ, თუ ეს ასე გაგრძელდება, რა თქმა უნდა, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. მინდა მოვუწოდო ოჯახის წევრებს, ქალბატონ გიულის, რომ იქნებ მოხდეს ადამიანის დარწმუნება, რომ დაექვემდებაროს ექიმის მკურნალობას, ექიმების რეკომენდაციას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ამან შეიძლება მართლა მიიყვანოს ფატალურ შემთხვევამდე. ვიმეორებ, კლინიკა ყველა შესაძლებლობას იყენებს გაუმჯობესდეს მისი მდგომარეობა, – განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ.

მისივე განმარტებით, სააკაშვილის მიერ საკვების მიღების შეზღუდვა მის ჯანმრთელობის მდგომარეობას არ უკავშირდება.

– ყლაპვის ფუნქციის გაძნელება, რაიმე პრობლემა და დაბრკოლება არ არსებობს. თვითონ აცხადებს, რომ ამ მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილოა და თავის პროტესტს ამ ფორმით გამოხატავს, რომ კიდევ დამძიმდეს მისი მდგომარეობა, რათა შემდეგ შეიძლება მართლა გახდეს რეანიმაციულ განყოფილებაში გადასაყვანი. ყველას საყურადღებოდ კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, პაციენტი სადაც ახლა იმყოფება, ყველა აპარატურით არის აღჭურვილი. ფაქტობრივად, ეს არის ინტენსიური პალატა. ამ ეტაპზე მას დამატებითი ჟანგბადის მიწოდებაც არ სჭირდება.

ერთადერთი პრობლემა რჩება, შეასრულოს ექიმის რეკომენდაცია, საშუალება მოგვცეს, შევასრულოთ ჩვენი სამედიცინო დანიშნულება, მხოლოდ და მხოლოდ პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, შენარჩუნდეს სასიცოცხლო ფუნქციები და მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ოჯახის წევრებს, მის თანაპარტიელებს, ახლობლებს იმისათვის, რომ ეს ადამიანი დაარწმუნონ, ასე ნუ აკეთებს და ნუ მიდის იქამდე, რომ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს, – განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ.

მისივე განმარტებით, კლინიკა პასუხისმგებლობას არ იხსნის და, პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს აკეთებს.

– მას გათვლილი აქვს ის კალორაჟი, რაც უნდა მიიღოს, შეთავაზებულია საკვები დანამატი, ინფუზიური თერაპია, რომელიც აუცილებელია მისი ენერგორესურსების შესავსებად, მაგრამ ადამიანი ამ ყველაფერზე მიზანმიმართულად უარს აცხადებს, – ამბობს ზურაბ ჩხაიძე.

ამასთან, ექიმმა აღნიშნა, რომ სააკაშვილი საკვებს მცირე რაოდენობით იღებს და კოვიდინფექცია ხელისშემშლელი გარემოება არ არის საკვების მიღებისთვის, „მაგრამ აქ ადამიანი თვითონ აცხადებს უარს იმიტომ, რომ მიმდინარე მოვლენებით უკმაყოფილოა“.

შალვა ხაჭაპურიძე: „10 თვე გახდება, რაც სააკაშვილი საავადმყოფოში იმყოფება. დედამიწის ზურგზე სად გაგვიგია ამ ტიპით სასჯელის მოხდა“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, გუშინწინ კლინიკა „ვივამედის“ ექიმმა განაცხადა, რომ სააკაშვილი მძიმე პაციენტია და კიდევ უფრო დამძიმდება, თუ საკვებს არ მიიღებს, თუმცა მეორე ნაწილში არ დაამატა, საკვებს რატომ ვერ იღებს.

მისივე თქმით, ყოფილი პრეზიდენტის სასჯელისგან გათავისუფლება ან სასჯელის გადავადება უნდა მოხდეს, რათა მას საშუალება მიეცეს, მკურნალობა ჩაიტაროს.

– კლინიკა „ვივამედის“ ექიმმა განაცხადა, რომ სააკაშვილი მძიმეა და კიდევ უფრო დამძიმდება, თუ არ მიიღებს საკვებს, თუმცა მეორე ნაწილში აღარ დაამატა, რატომ ვერ იღებს საკვებს. მან თქვა, რომ არ იღებს. არა, ბატონებო, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით და იმ საერთაშორისო სამედიცინო ექსპერტების მიხედვით, ვინც უკვე დაიკითხნენ სასამართლოზე განმარტებულია მიზეზები, რატომ ვერ იღებს მიხეილ სააკაშვილი საკვებს, რატომ არის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე და მათ ცალსახად აღნიშნეს, რომ თუ სააკაშვილს არ გაეწევა მაღალპროფილურ კვალიფიციურ კლინიკაში საზღვარგარეთ მკურნალობა, მაშინ სიკვდილი გარდაუვალი იქნება. ამის გაგება არ უნდათ. ათი თვე გახდება, რაც საავადმყოფოში იმყოფება. დედამიწის ზურგზე სად გაგვიგია სასჯელის ამ ტიპით მოხდა ან საქართველოში თუ ყოფილა მსგავსი პრეცედენტი. ჩვენ ვრჩებით აზრზე, რომ მოხდეს სასჯელისგან გათავისუფლება ან სასჯელის გადავადება, რათა მას მიეცეს საშუალება, ჩაიტაროს მკურნალობა, – განაცხადა ადვოკატმა.





მან ისაუბრა სასამართლო პროცესებზეც. ადვოკატის განმარტებით, 30 იანვარს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადებას ან სასჯელისგან გათავისუფლებას ეხება, ცენტრ „ემპათიის“ ექსპერტები გამოიკითხებიან.

– მოგეხსენებათ, შუამდგომლობაზე დასკვნა წარმოადგინა მოწინააღმდეგე მხარემ. ამ შუამდგომლობაზე გავცემთ პასუხს, ჩვენს პოზიციებს დავაფიქსირებთ ეს ერთი და მეორე, დაიკითხებიან ცენტრ „ემპათიის“ ექსპერტები, ხვალისთვის დაახლოებით 5 ადამიანი უნდა დაიკითხოს, – აღნიშნა ხაჭაპურიძემ.

ნიკოლოზ სააკაშვილი: „მოსამართლე დაუყოვნებლივ მოვიდეს კლინიკაში და ნახოს პაციენტი“

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მამა ნიკოლოზ სააკაშვილი ითხოვს, მოსამართლე გიორგი არევაძე კლინიკა „ვივამედში“ მივიდეს.

როგორც ნიკოლოზ სააკაშვილი აცხადებს, ექიმობა არ არის საჭირო მისი შვილის მძიმე მდგომარეობის შესაფასებლად.

– „ვივამედის“ დირექტორი ზურაბ ჩხაიძე მოგვიწოდებს, განსაკუთრებით დედას, გიულის, მოვიდეს და დაარწმუნოს პაციენტი, რომ იკვებოს და მიიღოს მკურნალობა. მაშინ, როცა მიშა თავისი ფეხით შევიდა კლინიკაში და დღეს რეანიმაციას საჭიროებს, ალოგიკურია! გასაოგნებელია, როდესაც შეშინებული მედიკოსები მაშველ რგოლად იხმობენ დედასა და ოჯახს. თუ კლინიკას არ ძალუძს პაციენტის მოვლა, მაშინ თვით „ვივამედიც“ აქტიურად შეუერთდეს ექსპერტების მოთხოვნას მიშას გაყვანაზე. თუ ესეც არ შეგიძლიათ, გადმოგვეცით ოჯახს მიშა და ჩვენ მოვუვლით, ბოლოს და ბოლოს, ექიმები ვართ. და კიდევ ერთი – მოსამართლე დაუყოვნებლივ მოვიდეს კლინიკაში და ნახოს პაციენტი. დიდი ექიმობა არ არის საჭირო მძიმე მდგომარეობის შესაფასებლად და გადაწყვეტილების მისაღებად.

ჟურნალისტ მასიჰ ალინეჯადის მკვლელობის მცდელობა საქართველოს მოქალაქეს ედება ბრალად

– მე არ მეშინია სიკვდილის იმიტომ, რომ ვიცი, მკვლელობა, გაუპატიურება, წამება ისლამური რესპუბლიკის დნმ-შია, – აცხადებს ჟურნალისტი, ამერიკის მოქალაქე მასიჰ ალინეჯადი მისი მკვლელობის დაკვეთასთან დაკავშირებით.

ირანული წარმოშობის ჟურნალისტის შეკვეთილი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეა დაკავებული. სპეცოპერაცია ჩეხეთში ჩატარდა, რომლის დროსაც აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დაიკავეს. ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან.

ჟურნალისტმა ვიდეო ტვიტერის საკუთარ გვერდზე გაავრცელა. ის ამბობს, რომ ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლებმა მას ამის შესახებ უკვე შეატყობინეს.

– ეს-ესაა დავბრუნდი ნიუ იორკში მდებარე ფედერალური საგამოძიებო ბიუროს შტაბ-ბინიდან, სადაც მითხრეს, რომ დაკავებულია სამი მამაკაცი, რომლებიც ირანის ისლამური რესპუბლიკის დაკვეთით ჩემს მოკვლას ცდილობდნენ. მე არ მეშინია სიკვდილის იმიტომ, რომ ვიცი, მკვლელობა, გაუპატიურება, წამება ისლამური რესპუბლიკის დნმ-შია. მე მოვუწოდებ ამერიკის ხელისუფლებას, რომ იმოქმედოს – ამბობს ჟურნალისტი.

დაკავებულთა ვინაობა არ სახელდება, თუმცა არაოფიციალური წყაროებიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული დმანისის მკვიდრი, ე.წ. კანონიერი ქურდი პოლად ომაროვია. მას ამერიკის შეერთებულ შტატებში მძიმე დანაშაულის მომზადება

ედება ბრალად. ე.წ. კანონიერი ქურდი ომაროვი ორ თანამზრახველთან ერთად, ირანის ხელისუფლების დაკვეთით ამერიკაში მცხოვრები ირანული წარმოშობის ჟურნალისტის მასიჰ ალინეჯადის მკვლელობას გეგმავდა.

პროკურატურამ ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

– პროკურატურამ ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა, – ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 22 იანვარს ბათუმში ბრალდებულმა პნევმატური იარაღით დაზიანებები მიაყენა მიუსაფარ ძაღლს, რის შედეგადაც ცხოველი დაიღუპა.

ბრალდებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა (ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია), რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბებიის ანგარებით, შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე დაკავებულს პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ოჯახის წევრის მიმართ ანგარებითა და შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

უწყების ცნობით, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ანგარების მოტივით, შეკვეთით მკვლელობის მიზნით, შესაბამისი პირი მოიძია, რომელსაც 150.000 აშშ დოლარის სანაცვლოდ საკუთარი ბებიის მკვლელობა დაუკვეთა. ბრალდებულმა პოტენციურ მკვლელს მიაწოდა მსხვერპლის ვინაობა, ასაკი და ბებიის საცხოვრებელ მისამართზე მიიყვანა, რის შემდეგაც მას შეპირებული თანხის ნაწილი და მსხვერპლის ფოტოსურათი გადასცა.

დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,109-ე მუხლის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით წარედგინა (ოჯახის წევრის მიმართ ანგარებითა და შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადება), რაც სასჯელის სახით 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

33 წლის ქართველი იტალიაში მაღაზიიდან თმის „ფენის“ მოპარვისთვის დააკავეს

ნეაპოლში იტალიელმა სამართალდამცველებმა 33 წლის ქართველი დააკავეს. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ახალგაზრდა ქართველმა ტექნიკის მაღაზიიდან თმის „ფენი“ და მტვერსასრუტი მოიპარა, რომლებიც ზურგჩანთაში დამალა. ნივთების საერთო ღირებულება 1500 ევროს შეადგენდა.

მაღაზიის თანამშრომელმა შენიშნა, რომ ქართველი ტერიტორიის დატოვებას თანხის გადახდის გარეშე აპირებდა, რის გამოც კარაბინერები გამოიძახა.

იტალიელმა სამართალდამცველებმა კაცი ადგილზევე დააკავეს.

ავტომობილი სახლში შევარდა — ავარია ატენში

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენში ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ერთ-ერთი სახლში შევარდა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად დაშავდა 4 ადამიანი.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

ავარია ავტობანზე — ორი ადამიანი დაიღუპა

რუისთან ავტომაგისტრალზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაიცვალა ორი ადამიანი, ხოლო ერთი დაშავდა.

საზოგადოება

დმანისის სიონში ორბელიანთა ისტორიული სასაფლაო განადგურდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

აოხრება, ნეშტების საერთო სამარხში ჩაყრა, ეპიგრაფიკული ძეგლების დაზიანება – წარწერიანი ქვები კარიბჭეში გამოყარეს და ერთმანეთზე დაყარეს, რამდენიმე წლის მერე წინამძღვარმა დიონისემ კარიბჭის წინ ღია ცის ქვეშ ფილაქანივით მოაგო ჩამწკრივებული. მერე ამაზე ფეისბუკში საჯაროდ დავწერე დიდი საყვედური, რადგან ღია ცის ქვეშ ნალექების ზემოქმედებით მე-17/18 საუკუნეების ეპიგრაფიკა განადგურდებოდა და, მგონი, წარწერიანი ქვები აიღო და ისევ კარიბჭეში დაალაგა. აღარ ვიცი ზუსტად მათი ბედი.

აი ასე ჩვენ თვალწინ განადგურდა ორბელიანთა ისტორიული სასაფლაო დმანისის სიონში და კაციშვილს ხმა არ ამოუღია, არც გაუგია, არც შეუმჩნევია, არც მოუკითხავს. ესა ვართ ქართველები.

ჩემთან საუბარში ეპისკოპოსი ზენონი სამარხების მოშლის პასუხისმგებლობას ჯუმბერ კოპალიანს აკისრებდა, მე იქ არ ვიყავი მაგ დროსო. მაგრამ რეალურად ვისი გადაწყვეტილება იყო, თქვას თავად კოპალიანმა. ასევე ვერ გაექცევა მომხდარზე პასუხისმგებლობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის უწყების მაშინდელი ხელმძღვანელობა, რომლის გარეშეც კანონი კრძალავს ნებისმიერ ცვლილებას ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლზე!

ექვთიმეს მერე, 1984 წელს, ვახტანგ ჯაფარიძემ შეისწავლა და გამოაქვეყნა ეს წარწერიანი ქვები, ხოლო შემდეგ, 2015-16 წლებში – ახალგაზრდა მკვლევარმა ნიკოლოზ ჟღენტმა, მაგრამ ამ ბოლო წლებში ქვების ვანდალურ გამოტანა-შემოტანებში წარწერები საგრძნობლად დაზიანებულია და უფრო მეტი ლაკუნები აქვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ ოპერაციებს აძლიერებს

რუსეთ-უკრაინის ომი სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. ოკუპანტების რიგებში დანაკარგებმა 123.000-ს გადააჭარბა. რუსებმა ვერ აიღეს ვერც სოლედარი, ვერც ბახმუტი, ვერც უგლედარი ან ზაპოროჟიე.

კრემლის აგრესიულობამ დასავლეთის საპასუხო რეაქცია გამოიწვია. უკრაინას გადასცემენ როგორც ლეოპარდის ტიპის ტანკებს, ისე აბრამსებსაც. საუბარია ავიაციის გადაცემაზეც.

პასუხად რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი ოპერაციები გააძლიერა. უკრაინელი ჯარისკაცები სისტემატურად იღებენ ესემესებს, სადაც მათ რუსეთის მხარეს გადასვლისაკენ მოუწოდებენ.

ამან უკრაინელებში ვერავითარი გამოხმაურება ვერ ჰპოვა. მიუხედავად ამისა, რუსეთის ძირგამომთხრელი აქციები ძლიერდება. მიზანში ამოღებულნი არიან უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, კერძოდ:

უკრაინული არმიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი შაპტალა, უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსი მალიუკი, Василя Малюка; თავდაცვის მინისტრი რეზნიკოვი; პრეზიდენტის ოფისის უფროსი ერმაკი, ნაციონალური პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვიგოვსკი.

ოპერაციის მიზანია, წარმოაჩინოს უკრაინა „არშემდგარ სახელმწიფოდ“, სადაც ყვავის კორუფცია, ექსტრემიზმი, კლეპტოკრატია. ასეთი ქვეყნის მხარდაჭერას აზრი არა აქვს. ამ ე.წ. „სიბრძნეს“ რუსული მედია ინტენსიურად ავრცელებს. ის უკვე აიტაცეს დასავლეთში მოქმედმა რიგმა რუსეთის აგენტებმა. მათ გარდა, კრემლი „სასარგებლო იდიოტებსაც“ ინტენსიურად იყენებს. ამის ნათელი მაგალითია აშშ-ის ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი. ის აცხადებს, რომ აშშ-მ უარი უნდა განაცხადოს დემოკრატიული სამყაროს ლიდერობაზე და საკუთარ პრობლემებს მიხედოს.

აშშ-ის ექსპრეზიდენტს ჰყავს თავისი თანამოაზრენი, „ტრამპისტები“. ისინი თვით რესპუბლიკურ პარტიაშიც კი უმცირესობას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ისინი ძალზე აგრესიულები არიან. „ტრამპისტებს“ მხარს უჭერენ მუშები, ღარიბი ფერმერები, ლუმპენები.

პარალელურად ინტენსიურად მუშავდება მეორე თეზისი: კორუმპირებული უკრაინა ამერიკულ იარაღს ყიდის და ის შესაძლოა ისლამისტი-ექსტრემისტების ხელში აღმოჩნდეს. ტრამპი და მისი მიმდევრები ამას უკვე ყოველდღე აცხადებენ.

ცხადია, რომ რუსეთი მასირებულ შეტევას გეგმავს. ამაში სერიოზული ადგილი დაეთმობა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ფსიქოლოგიურ ოპერაციებსაც. ვაშინგტონში ეს ჩინებულად იციან. აშშ-შიც უკვე შექმნილია ნდობის ჯგუფი, რომელიც გააკონტროლებს, თუ საით წავიდა ამერიკული დახმარება.

კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებას დიდი შვიდეულიც მოითხოვს. სპეციალურ დადგენილებაში ნათქვამია, რომ უკრაინისათვის დახმარების გაგრძელება კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. რუსეთი, პირიქით, ცდილობს, რომ დასავლეთი „უკრაინული მაფიის“ უძლეველობაში დაარწმუნოს.

ბრძოლები დონბასში

უკრაინაში ომი გრძელდება. მთავარი ეპიცენტრი კვლავ დონბასია.

ლუგანსჩინაზე ინიციატივას კვლავ უკრაინელები ფლობენ. ისინი ნელა, მაგრამ მეთოდურად მიიწევენ სვატოვოსა და კრემენოეს ცენტრისაკენ. რუსების ყველა მცდელობა, მოეგერიებინათ შეტევა, ამაოა. განსხვავებული ვითარებაა დონეცკის ოლქში. კვლავ დაძაბული სიტუაციაა ბახმუტთან.

რუსებმა ტაქტიკა შეცვალეს, დარწმუნდნენ, რომ ბახმუტს პირდაპირი შეტევებით ვერ აიღებენ. ახლა ისინი ცდილობენ, მას გვერდი აუქციონ და კონტროლი დაამყარონ კონსტანტინოვკისაკენ მიმავალ ტრასაზე. თუ მათ ეს შეძლეს, ბახმუტში გამაგრებულ უკრაინულ გარნიზონს მომარაგების ყოველგვარი საშუალება გადაეკეტება. უკრაინელი მეომრებიც ალყაში აღმოჩნდებიან.

გრძელდება ბრძოლები სოლედართანაც. რუსები მიისწრაფვიან, განდევნონ უკრაინელები სოლედარის გარეუბნებიდან და კონტროლი დაამყარონ ქალაქის მახლობლად არსებულ სიმაღლეებზე. ჯერჯერობით ოკუპანტების მცდელობა წარუმატებელია. ბრძოლები გრძელდება. ასევე სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასთან, მარინკასთან, უგლედართან.

უგლედარის მისადგომებთან უკრაინელებმა რუსი ოკუპანტების შეტევა შეაჩერეს, შემდეგ ძლიერი კონტრდარტყმით აიძულეს ისინი, უკან დაეხიათ. პუტინის ბრძანებით უგლედართან ახალი ძალები გადაისროლეს. ესენია საზღვაო ქვეითები. ისინი ქალაქთან მიახლოებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ.

უკრაინელები მტერს ვალში არ დარჩნენ. მათ დაბომბეს დონეცკი, გორლოვკა, სტახანოვი, ნოვოაიდარი და ა.შ. ოკუპანტებმა სასტიკი დარტყმა იწვნიეს.

უკრაინის სამხრეთში ბრძოლები არ ცხრება, მაგრამ ისინი პოზიციურ ხასიათს ატარებენ. რუსების შეტევაზე გადასვლის ყველა მცდელობას უკრაინელები მძაფრი ცეცხლით პასუხობენ, რუსები კი უკრაინულ ქალაქებს ბომბავენ. ასე მაგალითად, კვლავ დაიბომბა ხერსონი, ზაპოროჟიე, ხერსონის ოლქის სოფლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელის ნატალია გუმენიუკის ცნობით, უკრაინული არტილერია განაგრძობს მტრის საწყობებისა და ყაზარმების განადგურებას. თანახმად უკანასკნელი ცნობებისა, უკრაინელებმა გადასხეს დესანტი ნოვაია კახოვკას მიმართულებით. ოკუპანტების რიგებში უდიდესი მსხვერპლია.

რუსი ოკუპანტების რიგებში არსებულ დანაკარგებს აღიარებს კერძო სამხედრო ორგანიზაცია „ვაგნერის“ შეფი პრიგოჟინიც. თავის ტელეინტერვიუში მან აღნიშნა:

– კრასნოდარის მხარეში სასაფლაოები გავსებულია როგორც ვაგნერელების, ისე რუსეთის რეგულარული არმიის მებრძოლთა ცხედრებით!

აშშ: ახალი მღელვარებები რასობრივ ნიადაგზე

აშშ-ში რასობრივ ნიადაგზე ახალი მღელვარებებია. მიზეზი ქალაქ მემფისში (ტენესის შტატი) მომხდარი ინციდენტი გახდა. პოლიციელებმა გააჩერეს მანქანა, რომელსაც ზანგი, გვარად ნიკოლსენი, მართავდა. მათ ნიკოლსენს მოძრაობის წესების დარღვევა დასდეს ბრალად. ამ უკანასკნელმა უხეშად უპასუხა. პოლიციელმა წესრიგისაკენ მოუწოდა. ნიკოლსენმა შეაგინა. პოლიციელმა თავი ვერ შეიკავა და გაარტყა. ნიკოლსენმა ცადა, გაქცევით ეშველა თავისათვის. პოლიციელები მას დაეწივნენ და გამეტებით სცემეს. მძიმედ დაშავებული ნიკოლსენი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აშშ-ში უმალ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ცადეს, ინციდენტისათვის პოლიტიკური სარჩული მიეცათ. აღმოჩნდა, რომ პოლიციელები, რომელთაც ნიკოლსენი შემოაკვდათ, ასევე ზანგები იყვნენ. ასე რომ, რასობრივი სარჩული მომხდარ ინციდენტს ნამდვილად არ მიესადაგება.

– უდავოა, რომ მოხდა ტრაგედია! მიზეზებს სპეციალური გამოძიება გაარკვევს! ფაქტი ერთია: მომხდარს რასიზმთან არაფერი საერთო არა აქვს, – წერს „რბკ-უკრაინა“.

ჩეხეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს



ჩეხეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს პოსტი გადამდგარმა გენერალმა პეტერ პაველმა დაიკავა. მან არჩევნებში გაიმარჯვა.

პეტერ პაველი გამოკვეთილი პატრიოტი და პროდასავლელია. ის აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების პირველი წარმომადგენელია, რომელიც ნატოს გენერალური შტაბის უფროსი გახდა. პაველი გმობს რუსეთის აგრესიას უკრაინაში. მისი აზრით, ჩეხეთმა ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მკვეთრი პოზიცია უნდა დაიკავოს.

რა მიზნებს ისახავს გერმანია?!

უკრაინისათვის გერმანული ტანკების მიწოდებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა პესკოვმა განაცხადა:

– ამან გერმანიაში ნამდვილ პანიკა გამოიწვია. მის გაღვივებას ხელი შეუწყო პრორუსულმა პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისათვის“. მან შემდეგი განცხადება გაავრცელა – ჩვენი მთავრობის უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგად ომში აღმოვჩნდებით ჩათრეულნი!

გერმანიის კანცლერმა შოლცმა უმალ საპასუხო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ომი მაშინ დაიწყო, როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ეს იყო ყაჩაღობა დღისით, მზისით. ამის დაუსჯელად დატოვება არ შეიძლებოდა. თუ პუტინს უკრაინაში ძალადობა გაუვიდოდა, შემდეგ პოლონეთისა და გერმანიის ჯერიც დადგებოდა.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ომი უკრაინაში სულ უფრო სისხლისმღვრელ ხასიათს იღებს. თვით ოდიოზურმა რუსმა პროპაგანდისტმა სოლოვიოვმაც კი განაცხადა:

– რუსი ოკუპანტების დანაკარგები მართლაც კოლოსალურია.

დღეისათვის სურათი შემდეგია: ტანკები – 3.189; არტილერია – 2.188; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა – 221; თვითმფრინავები – 293; ვერტმფრენები – 284; БПЛА – 1.947; ფრთოსანი რაკეტები – 796; გემები – 18; განადგურებულია 125.510 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

შედეგები

28 იანვარი ფეხბურთი

ალჟირის ეროვნული თასი

მადაგასკარი-მოზამბიკი	3:1
ნიგერი-განა	2:0

ინგლისი. ჩემპიონიგა

ქოვენთრი-ჰადერსფილდი	2:0
მიდლსბრო-უოტფორდი	2:0
ჰალი-ქპრ	3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-ვოლფსბურგი	2:1
ჰერტა-უნიონი	0:2
მაინცი-ბოხუმი	5:2
ფრაიბურგი-აუგსბურგი	3:1
ჰოფენჰაიმი-გლადბახი	1:4
ბაიერნი-აინტრახტი	1:1

სატესტინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	18	10	7	1	52-16	37
2.უნიონი	18	11	3	4	31-22	36
3.ლაიფციგი	18	10	5	3	39-24	35
4.ფრაიბურგი	18	10	4	4	29-25	34
5.აინტრახტი	18	9	5	4	37-26	32
6.დორტმუნდი	17	10	1	6	31-25	31
7.ვოლფსბურგი	18	8	5	5	36-22	29
8.გლადბახი	18	7	4	7	34-29	25
9.ლევერკუზენი	17	7	3	7	30-28	24
10.ვერდერი	18	7	3	8	29-37	24
11.მაინცი	18	6	5	7	26-29	23
12.კიოლნი	17	5	6	6	29-31	21
13.ჰოფენჰაიმი	18	5	4	9	26-31	19
14.აუგსბურგი	18	5	3	10	23-33	18
15.შტუტგარტი	18	3	7	8	22-32	16
16.ბოხუმი	18	5	1	12	19-44	16
17.ჰერტა	18	3	5	10	20-32	14
18.შალკე	17	2	3	12	14-41	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დარმშტადი-რეგენსბურგი	2:0
ჰიბერნიანი-ჰანზა	2:0
კილი-ფიურტი	2:1
ჰანოვერი-კაიზერი	1:3

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

კადისი-მალიორკა	2:0
ხირონა-ბარსელონა	0:1
სევილია-ელჩე	3:0
ხეტაფე-ბეტისი	0:1

სატესტინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	18	15	2	1	37-6	47
2.რეალი	17	13	2	2	38-16	41
3.სოსიედადი	18	12	2	4	28-18	38
4.ვილიარეალი	18	9	4	5	21-13	31
5.ბეტისი	18	9	4	5	20-14	31
6.ატლეტიკო	18	9	4	5	27-16	31
7.ოსასუნა	18	8	4	6	18-17	28
8.ბილბაო	18	7	5	6	25-19	26
9.რაიო	18	7	5	6	24-22	26
10.მალიორკა	19	7	4	8	15-18	25
11.ალმერია	19	6	4	9	23-29	22
12.ხირონა	19	5	6	8	26-29	21
13.სევილია	19	5	6	8	21-26	21
14.ვალენსია	17	5	5	7	25-20	20
15.ესპანიოლი	19	4	8	7	23-29	20
16.კადისი	19	4	7	8	14-29	19
17.ვალიადოლიდი	18	5	2	11	13-28	17
18.ხეტაფე	19	4	5	10	16-26	17
19.სელტა	18	4	5	9	17-29	17
20.ელჩე	19	0	6	13	12-39	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

გრანადა-ანდორა	2:0
ოვიედო-ვილიარეალი ბ	0:1
ეიბარი-ლეგანესი	0:0
ლას პალმასი-უესკა	1:0

იტალია. სერია ა

ემპოლი-ტორინო	2:2
კრემონეზე-ინტერი	1:2
ატალანტა-სამპდორია	2:0

სატესტინიო ცხრილი:

1.ნაპოლი	19	16	2	1	46-14	50
2.ინტერი	20	13	1	6	40-26	40
3.ატალანტა	20	11	5	4	39-23	38
4.მილანი	19	11	5	3	35-24	38
5.ლაციო	19	11	4	4	35-15	37
6.რომა	19	11	4	4	25-16	37
7.უდინეზე	19	7	7	5	27-21	28
8.ტორინო	20	7	6	7	21-22	27
9.ემპოლი	20	6	8	6	19-24	26
10.ბოლონია	20	7	5	8	26-30	26
11.იუვენტუსი	19	11	5	3	30-15	23
12.ფიორენტინა	19	6	5	8	21-25	23
13.მონცა	19	6	4	9	23-28	22
14.სალერნიტანა	20	5	6	9	25-38	21
15.ლეჩე	20	4	8	8	19-24	20
16.სპეცია	20	4	6	10	17-32	18
17.სასუოლო	19	4	5	10	18-29	17
18.ვერონა	19	3	3	13	17-31	12
19.სამპდორია	20	2	3	15	8-34	9
20.კრენომონეზე	20	0	8	12	15-35	8

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

იტალია. სერია ბ

ბარი-პერუჯა	0:2
ბრეშა-კომო	0:1
ვენეცია-ჩიტადელა	1:1
ზიუდტიროლი-რეჯინა	2:1
კოზენცა-პარმა	1:0
ტერნანა-მოდენა	2:1
ჯენოა-პიზა	0:0

საფრანგეთი. ლიგა 1

ტრუა-ლანსი	1:1
მარსელი-მონაკო	1:1

სატესტინიო ცხრილი:

1.პსჟ	19	15	2	2	48-14	47
2.ლანსი	20	13	6	1	33-14	45
3.მარსელი	20	13	4	3	40-17	43
4.მონაკო	20	11	5	4	43-27	38
5.რენი	20	11	4	5	37-22	37
6.ლორიანი	20	10	5	5	33-30	35
7.ლილი	19	10	4	5	35-25	34
8.კლერმონი	19	8	4	7	24-27	28
9.ლიონი	19	7	4	8	28-23	25
10.ნიცა	19	6	7	6	22-20	25
11.რეიმსი	19	5	10	4	21-23	25
12.ტულუზა	19	6	5	8	29-34	23
13.ნანტი	19	4	9	6	21-24	21
14.ტრუა	20	4	7	9	31-41	19
15.მონპელიე	19	5	2	12	28-40	17
16.სტრასბური	19	2	9	8	24-34	15
17.ბრესტი	19	3	6	10	19-34	15
18.აიაჩო	19	4	3	12	16-34	15
19.ოსერი	19	3	4	12	16-41	13
20.ანჟე	19	2	2	15	17-41	8

საფრანგეთი. ლიგა 2

სტ.ეტიენი-სოშო	2:3
ამიენი-ლე ავრი	1:1
ვალანსიენი-მეცი	1:1
გრენობლი-ბასტია	0:1
დიჟონი-ბორდო	0:3
კაენი-ლავალი	0:0
კევიი-პარიზი	3:1
ნიმი-ნიორი	3:2
პო-ანსი	2:2
როდეზი-გენგამი	0:1

ნიდერლანდები. ერედივიზიონი

პსვ-იგლზი	2:0
ვალვაიკი-ემენი	2:0
ნაიმეგენი-სპარტა	1:1
ჰერენვენი-ვიტესი	1:3
ალკმაარი-უტრეხტი	5:5

პორტუგალია. ლიგის თასი

ფინალი

სპორტინგი-პორტუ	0:2

ბელგია. ა დივიზიონი

ვესტერლო-მეხელენი	2:0
ლეუვენი-სტ.ტრუიდენი	1:1
კორტრაიკი-ოსტენდე	2:2
შარლერუა-სენ ჟილუა	0:1

შოტლანდია. ჩემპიონიგა

რეინჯერსი-სტ.ჯონსონი	2:0
როსი-კილმანროკი	3:0
სტ.მირენი-მოზერველი	1:0
ჰიბერნიანი-აბერდინი	6:0

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-ადანა	1:2
ანკარაგიუჯიუ-გაზიანთები	0:2
ჰატაი-ტრაბზონი	2:1
ანთალია-უმრანიე	3:2
გირესუნი-გალათასარაი	0:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ისტორიული შედეგი – გუბანოვამ საქართველოს ყინულის ოქრო მოუტანა



საქართველოს ნაკრებმა ფიგურულ ციგურაობაში ისტორია დაწერა. ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებულია ოქროს მედალი. წარმატების შემოქმედი კი არის ანასტასია გუბანოვა, რომელმაც ფინეთის ესპოოში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

აქამდე ევროპის ჩემპიონატებზე საქართველოს სულ სამი მედალი ჰქონდა მოპოვებული: ორჯერ ელენე გედევანიშვილმა (2010, 2012) და ერთხელაც მორის ყვითელაშვილმა (2020) ევროპირველობაზე ბრინჯაოს მედლები მოახერხეს.

გუბანოვა მოკლე პროგრამის შემდეგ 69.81 ქულით ლიდერობდა, რასაც თავისუფალ პროგრამაში კიდევ 130.10 ქულა დაუმატა, ორჭიდის ჯამში კი 199.91 ქულა დააგროვა, უახლოეს მეტოქეს, ბელგიელ ლუნა ჰენდრიქსს (193.45) სოლიდური უპირატესობით აჯობა.

ანასტასია გუბანოვა:

– ჯერ კიდევ შოკში ვარ და ვერ ვაცნობიერებ, რა მოხდა. ერთი ვიცი, რომ ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო. ძალიან ვნერვიულობდი სრიალის წინ, ფსიქოლოგიურად ძალიან რთული იყო. როცა დავასრულე, უკვე ველარ შევიკავე ემოციები. ბედნიერი ვარ, რომ საკუთარ თავს ვძლიე, გავმაგრდი და არ ვფიქრობდი, მოვიგე თუ არა.

ვერ ვიტყვი, რომ პროგრამა კარგად შევასრულე, დიდ ყურადღებას ვაქცევდი ელემენტებს. ჩემი ციგურაობა არ იყო იდეალური და ბოლომდე სუფთა.

სპორტულ წყვილებში მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას წყვილმა თავისუფალ პროგრამაში მსაჯებისგან 107.27 ქულა მიიღეს და ორი დისციპლინის ჯამში 175.82 ქულით მერვე ადგილი დაიკავეს.

ჯოკოვიჩი ნადალს დაეწია

ნოვაკ ჯოკოვიჩი „დიდი სლემის“ 22-გზის გამარჯვებულია და რაფა ნადალთან ერთად თანარეკორდსმენია.

ნოლემ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო და ეს მეათედ გააკეთა. სერბმა ჩოგბურთელმა ფინალში ბერძენ სტეფანოს ციციპასს სძლია 6:3; 7:6; 7:6 მოუგო.

ანგარიშზეც ეტყობა, რომ მატჩი დაძაბული იყო და ორჯერ სეტის გამარჯვებულის გამოვლენას ტაი ბრეიკი დასჭირდა.

აღსანიშნავია, რომ მატჩში სულ სამი ბრეიკი გაკეთდა. ჯოკოვიჩმა ერთი პირველ სეტში გაახერხა და 6:3 მოიგო. მეორე სეტი ისე ჩამთავრდა, რომ ჩოგბურთელები თავიანთ ჩაწოდებას იგებდნენ. ნოლემ და სტეფანოსმა ბრეიკები მესამე სეტის დასაწყისშივე გაცვალეს, შემდეგ კი ტაი ბრეიკამდე მივიდნენ.

ციციპასმა ბევრი იბრძოლა, მესამე სეტში მატჩ-პოინტი ორჯერ გადაარჩინა, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელთან ვერაფერს გახდა...

უდინეზეში საქართველოს დროშა გადასცეს

დასრულდა ევროპის ზამთრის XVI ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელსაც იტალია 21-28 იანვრის ჩათვლით მასპინძლობდა. ფესტივალში სპორტის 13 სახეობაში, 47 ქვეყნის სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. საქართველოდან სპორტის 4 სახეობაში იასპარეზა 8 სპორტსმენმა.

ჩვენი გუნდიდან დიდ წარმატებას მიაღწია ქართველმა მოციგურავე კონსტანტინე სუპატაშვილმა, რომელიც ევროპის XVI ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

ქალაქ უდინეში ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, ვიცეპრეზიდენტი, ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მამუკა ხაბარელი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ეკატერინე ორჯონიკიძე ესწრებოდნენ.

დახურვის ცერემონიაზე საქართველოს მედროშე იყო ევროპის XVI ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ვერცხლის მედალოსანი, ფიგურული მოციგურავე კონსტანტინე სუპატაშვილი.

ცერემონიის დასასრულს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა დროშა ბორჯომის მერ ოთარ არბოლიშვილს გადასცა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს საქართველო, კერძოდ, ბაკურიანი 2025 წელს უმასპინძლებს.

ლერი ხაბელოვი:

– ეს არის განსაკუთრებული დღე ქართული სპორტისთვის – ჩვენ გადმოგვეცა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების დროშა, ნიშნად იმისა, რომ მომავალი ოლიმპიური ფესტივალი საქართველოში გაიმართება. შესაბამისად, დაგვეკისრა დიდი პასუხისმგებლობა. დრო ცოტაა, საქმე – ძალიან ბევრი. მომავალი ორი წლის განმავლობაში მოგვიწევს ყოველდღიური მუშაობა საორგანიზაციო საკითხებზე, ინფრასტრუქტურულ და სხვა მნიშვნელოვან პროექტებზე, რათა ევროპულ ფესტივალს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. იმედი მაქვს, რომ მთავრობის მხარდაჭერით, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ბორჯომის მუნიციპალიტეტთან, ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთან, შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობით ღირსეულად ვუმასპინძლებთ ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბორჯღალოსნებმა მზადება დაიწყეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც 2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს.

შეგახსენებთ, რაგბი ევროპის ჩემპიონატმა ტრანსფორმაცია განიცადა და მონაწილეთა რაოდენობა 6-დან 8 გუნდამდე გაიზარდა, რომლებიც პირველ ეტაპზე ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. საქართველოსთან ერთად ა ჯგუფში ესპანეთი, ნიდერლანდები და გერმანია ითამაშებენ, ბ ჯგუფში კი რუმინეთი, პორტუგალია, ბელგია და პოლონეთი მოხვდნენ.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრები თებერვლის პირველ სამ კვირაში გაიმართება. ბორჯღალოსნები 5 თებერვალს გერმანიას „ავჭალაზე“ მასპინძლობენ; 11 თებერვალს ნიდერლანდებს ამსტერდამში ეწვევიან, 18-ში კი ესპანეთს ტორელავეგაში ეთამაშებიან.

თითოეული ჯგუფის ორორი მოწინავე თასის ნახევარფინალში გადის და ა ჯგუფის გამარჯვებული ბ ჯგუფის მეორეადგილსანს მასპინძლობს, ბ ჯგუფის გამარჯვებული კი – ა ჯგუფის მეორეადგილოსანს. ჯგუფში მესამე-მეოთხეადგილოსნები V-VIII ადგილებისთვის აგრძელებენ ბრძოლას. ნახევარფინალები – 4-5 მარტს, ხოლო ფინალები 18-19 მარტს შედგება და გუნდები საბოლოო ადგილებს გადაინაწილებენ.

რაგბი ევროპის ჯგუფური ეტაპის სამი შეხვედრისთვის ლევან მაისაშვილმა 36 მორაგბეს უხმო – 17-ს – ხაზში და 19-ს – შერკინებაში. მათ შორისაა გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე, რომელიც საწყის ორ თამაშს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

გაფართოებულ რაზმშია ლაშა მალაღურაძე, რომელსაც 99 სანაკრებო კეპი აქვს მოხვეჭილი და თუ რომელიმე თამაშში მიიღებს მონაწილეობას, მეხუთე ქართველი ცენტურიონი გახდება დავით კაჭარავას (122 კეპი), მერაბ კვირიკაშვილის (115), სანდრო თოდუასა (103) და გიორგი ჩხაიძის (100) შემდეგ.

მალაღურაძემ ბორჯღალოსნების კვართით პირველად 2008 წელს პორტუგალიის წინააღმდეგ ითამაშა, 99-ე შეხვედრა კი 2020 წლის მარტში ასევე პორტუგალიის წინააღმდეგ ჩაატარა. მალევე ის ცენტურიონი გახდებოდა, რომ არა კოვიდპანდემია, რომელმაც საერთაშორისო რაგბი 1,5 წლით დააპაუზა. მას შემდეგ 3 წელი გავიდა და ლაშას კვლავ უხმეს გაფართოებულ რაზმში.

გუნდში სამი დებიუტანტია – სტად ფრანსეს 19 წლის ბურჯი სერგო აბრამიშვილი, შავი ლომის კვაჭი თენგიზ ზამთარაძე და ფრთა ოთარ ღაშხი. აბრამიშვილი წელს პარიზული კლუბის პირველ გუნდში დაწინაურდა (2 თამაში ტოპ 14-ში, 3 ჩელენჯ თასზე) და ნაკრებშიც უხმეს, ზამთარაძე და ღაშხი კი ადრეც იყვნენ გაფართოებულ რაზმში, თუმცა ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო, მათი დებიუტი ჯერ ვერ შედგა.

ტრავმით გამოწვეული 1-წლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებს უბრუნდება მესამეხაზელი გიორგი ცუცქირიძე, რომელიც ცოტა ხნის წინ სტად ფრანსეს შემადგენლობაშიც გამოჩნდა, ჩელენჯ თასზე სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ღელოც გაიტანა.

მთლიანობაში, გაფართოებული რაზმი გამოცდილი და შედარებით ახალბედა მორაგბეების ნაზავს წარმოადგენს. სამი დებიუტანტის გარდა, მასში 8 ისეთი მოთამაშეა რომელთაც 10-ზე ნაკლები კეპი აქვთ. ესენი არიან ბურჯები – ნიკა აბულაძე, გურამ პაპიძე და ვახტანგ აბდალაძე; მეორეხაზელები – ლადო ჩაჩანიძე და მიხეილ ბაბუნაშვილი; ღერძი – მიხეილ ალანია და ლუკა მატკავა და ცენტრი თორნიკე კახოიძე.

– ტრადიციულად, უპირველესი მიზანი რაგბი ევროპის ჩემპიონობაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2023 წლის მსოფლიო თასამდე სულ 8 თამაში დაგვრჩა ჩასატარებელი – 5 რაგბი ევროპაზე და სამიც გასახურებელი მატჩი აგვისტოში. სასურველია, რომ უფრო მაღალი დონის შეხვედრები გვქონოდა, მაგრამ თებერვალ-მარტში ეს მოცემულობა გვაქვს და ვერაფერს შევცვლით. აქედან გამომდინარე, ექსპერიმენტებისთვის ძალიან ცოტა დრო გვრჩება. თუ არ ჩავთვლით ტრავმირებულ მოთამაშეებს, ოპტიმალურ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი. ასევე გვყავს რამდენიმე ახალბედა, რომლებიც გვინდა მსოფლიო თასამდე გავსინჯოთ და მათ ამ პერიოდში დავაკვირდებით. სერგო აბრამიშვილი და ოთარ ღაშხი ნოემბრის შეკრებაზეც გვყავდა. ორივეს დიდი ხანია ვაკვირდებით, კარგად ვიცით მათი შესაძლებლობები და ვეცდებით ახლა მივცეთ თამაშის შანსი. თენგიზ ზამთარაძე ახალგაზრდა კვაჭია და მთელი სანაკრებო ვერტიკალი აქვს გავლილი, 20-წლამდელების ჩათვლით და ახლა შავ ლომშია. მისი საქმეში ხილვა აქამდეც გვსურდა, თუმცა ხელი ტრავმამ შეგვიშალა.

ბორჯღალოსნების გაფართოებული შემადგენლობა

შერკინება: გურამ გოგიჩაშვილი, ნიკა აბულაძე, სერგო აბრამიშვილი; ბექა გიგაშვილი, ვახტანგ აბდალაძე; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, თენგიზ ზამთარაძე;

კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, ლადო ჩაჩანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი;

ოთარ გიორგაძე, ბექა საღინაძე, გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, მიხეილ გაჩეჩილაძე, ბექა გორგაძე;

უკანახაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია; ლაშა მალაღურაძე, თედო აბჟანდაძე, ლუკა მატკავა;

გიორგი კვესელაძე, დემე თაფლაძე, თორნიკე კახოიძე, ლაშა ლომიძე, მერაბ შარიქაძე; სანდრო თოდუა, აკა ტაბუცაძე, ოთარ ღაშხი;

ღაშა ხმალაძე, მირიან მოდებაძე, დავით ნინიაშვილი.

არაბიძემ და ჯოჯუამ საქართველოს ჩემპიონატი მოიგეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატები რაპიდში დასრულდა. ტურნირში, რომელიც სახელოვანი ქართველი დიდოსტატის, საჭადრაკო ოლიმპიადის ექვსგზის გამარჯვებულ ნანა იოსელიანის სახელს ატარებს, 17 მანდილოსანი და 21 მამაკაცი მონაწილეობდა. მედალოსნები შვეიცარიული სისტემით 9-9 ტურმა გამოავლინა.

შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდა. ბოლო ტურში ერთპიროვნული ლიდერი მერი არაბიძე შავი ფიგურებით ინგა ჭარხალაშვილს დაუზავდა და 7 ქულა მოაგროვა, რაც პირველი ადგილისთვის საკმარისი აღმოჩნდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა მაკა ფურცელაძე, რომელიც მირანდა მიქაძეს შეუთანხმდა ყაიმზე. ცხრა შესაძლებლობიდან 6-6 ქულა მოაგროვეს მირანდა მიქაძემ და ლელა ჯავახიშვილმა, რომლებმაც, დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს.

დაძაბულად წარიმართა ვაჟთა ტურნირი. ექვსი ტურის შემდეგ 5 ქულით ერთპიროვნულად გაიოზ ნიგალიძე ლიდერობდა, მაგრამ მე-7 ტურში თეთრი ფიგურებით დავით ჯოჯუასთან დამარცხდა. საბოლოოდ, ორივე მოჭადრაკემ ტურნირი 6.5-6.5 ქულით დაასრულეს. უკეთესი კოეფიციენტით ჩემპიონობა და ნანა იოსელიანის თასი ჯოჯუას ხვდა.

რაპიდში საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი გაიოზ ნიგალიძეს ერგო. 6 ქულით მესამე ადგილზე ლევან ფანცულაია გავიდა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სიმღერა აკომპანემენტის გარეშე; 2. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. გორგოლაჭებიანი კონვეიერი; 7. ქალაქი ჩეხეთში; 11. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება; 13. ხვავი, ბარაქა; 15. საშობაო სიმღერა; 16. გერმანული ავტომობილი; 18. ხარის ან კამეჩის ტყავისგან დამზადებული ძველებური წყლის საზიდი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

თარაზულად: 6. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 8. სალამანდრისნაირთა ოჯახის წყალხმელეთა ცხოველი; 9. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 10. საპატიო თანხლება; 12. ყვითელი, კურკოვანი ნაყოფის მქონე კენკროვანი მცენარე; 14. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი; 17. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 20. ერთი და იმავე სიმაღლის ორი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერადობა; 21. ქართული სადაზღვევო კომპანია; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. მსხლის ქართული ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სერვანტესი; 2. კომუნა; 3. ფალანგა; 4. კრონა; 5. კონკლავი; 6. გაუდა; 7. ჰარიერი; 9. კრისტი; 13. პერტი; 17. როტა; 18. ბზა.

თარაზულად: 1. საიგაკი; 3. ფრანკი; 8. სონატა; 10. მუსკატი; 11. ვალიო; 12. დანელია; 14. სტატია; 15. აჯამეთი; 16. ვერფი; 19. ბუტიკი; 20. ლიეტუვა; 21. კოპალა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ისაკაძე; 2. ჩაკირი; 3. ბაკურიანი; 4. კრიშნა; 5. ლომიბარდი; 7. ვერე; 11. ძილქუში; 13. ბაბაჭუა; 15. თართი; 16. კეჩუა; 18. ღვინო; 19. ვეკუა.

თარაზულად: 6. საბვეი; 8. დარჯაკი; 9. ორიგამი; 10. ანდერძი; 12. დიორი; 14. ვაზარი; 17. ნაბეღლავი; 20. ღრუბელი; 21. მთიები; 22. ნადური; 23. ზაქათალა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6393

ევრო — 2.8745

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2677

100 რუსული რუბლი — 3.8004

ამინდის პროგნოზი 30 იანვრისათვის

ხავი: „უკეთესად უნდა გვეთამაშა, მაგრამ მთავარი მოგებაა“

ბარსელონამ სტუმრად ჟირონა დაამარცხა ანგარიშით 1:0. მატჩი სტუმრებისთვის საკმაოდ რთული გამოდგა. შეხვედრის ერთადერთი გოლი პედრის ანგარიშზეა, რომელმაც თავი მე-60 წუთზე გამოიჩინა: „მიხარია, რომ მოვიგეთ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. რთული შეხვედრა გამოდგა და ლევანდოვსკის არყოფნამ ჩვენზე იმოქმედა. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო“.

ტომას მიულერი: „ბაიერნს საუკეთესო პერიოდი არ აქვს“

მიუნხენის ბაიერნმა საკუთარ მოედანზე აინტრახტი მიიღო და მოგება ვერ მოახერხა. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. მატჩის შემდეგ ტომას მიულერმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ამჟამად ბაიერნი საუკეთესო ფორმაში არ არის და მათ მალე უნდა გამოასწორონ მდგომარეობა: „უკვე მესამე მატჩია, მოგებას ვერ ვახერხებთ და ეს კარგი ნამდვილად არ არის. ვარჯიშებზე უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ და შედეგიც უკეთესი იქნება“.

დემბელე ერთ თვეს გამოტოვებს

ბარსელონის ფრანგმა შემტევმა უსმან დემბელემ ჟირონასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და, დიდი ალბათობით, მას მთელი თებერვალი გაუცდება. ეს საკმაოდ უსიამოვნო ინფორმაციაა ბარსასთვის, რადგან დემბელე გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. ხავიმ განაცხადა, რომ დემბელეს არყოფნა გუნდზე იმოქმედებს, მაგრამ ბარსელონას მისი შეცვლა შეუძლია. დემბელეს ტრავმების გამო წინა სეზონებში ბევრი გაუცდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„ღამის პრაიმ თაიმი“ განახლებული შემადგენლობით ბრუნდება

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ღამის პრაიმ თაიმი“ ახალ სატელევიზიო სეზონს ახალი შემადგენლობით იწყებს.

გადაცემას ეთერში გასვლისას 7 წამყვანი ჰყავდა. შოუ ეტაპობრივად დატოვეს ავთანდილ ცქვიტინიძემ, ვატო კოლელიშვილმა, ანი ჩირაძემ, ზურა ხაჩიძემ და ნიკოლოზ ხაჩიძემ.

განახლებულ გადაცემას მხოლოდ 2 წამყვანი ეყოლება – გიორგი ნაზღაიძე და ნინო ჩხეიძე.

„ვოისის“ ფინალისტები ცნობილია

მუსიკალურმა შოუმ „ვოისი საქართველომ“ ფინალისტები დაასახელა. შოუს 4 მწვრთნელის სოფო ტოროშელიძის, დათი ევგენიძის, სტეფანე მღებრიშვილისა და დათო ფორჩხიძის გუნდებიდან მაყურებელმა ხმის მიცემით 2-2 საუკეთესო კონკურსანტი შეარჩია. „ვოისის“ ფინალისტები არიან გიორგი დათიაშვილი, თაკო კაკალაშვილი, თინა დათიკაშვილი, ლიკა სირაძე, ლიკუნა თუთისანი, ანკა თათარაშვილი, ირუ ხეჩანოვი და კახა ასლამაზაშვილი.

ფინალისტებისთვის ხმის მიცემა დაიწყო. ერთი კვირის განმავლობაში ყოველ 12 საათში ერთხელ მსურველებს შეუძლიათ, ხმა მისცენ საკუთარ რჩეულ რამდენიმე კონკურსანტს.

შოუს გამარჯვებული საქართველოს „ევროვიზიაზე“ წარადგენს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი



30 იანვრისთვის

ვერძი – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **გოჟოები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცნობილ კურორტზე ტალახის სამკურნალო აბაზანების მიღების შემდეგ გამოსული მამაკაცი მიდის და გაჰყვირის:

– სასწაული! სასწაული მოხდა! ისევ დავდივარ!

მასთან მეორე მამაკაცმა მიირბინა და ეკითხება:

– რა, განიკურნე?

– არა, უბრალოდ, ჩემი ჯიპი მოიპარეს.

•••

ოფიცერმა ნაწილის ეზოში უსაქმოდ მობოდიალე ჯარისკაცი გააჩერა და ეკითხება:

– რატომ დაბოდიალობთ უსაქმოდ, ჯარში წამოსვლამდე რას აკეთებდით?

– სავაჭრო ფირმის განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი.

– ხელქვეითები გყავდათ?

– დიახ, 10 კაცი.

– მერე, როგორ მოიქცეოდით, რომელიმე უსაქმოდ მობოდიალე რომ შეგენიშნათ?

– დაუყოვნებლივ გავათავისუფლებდი!

•••

სახლში დაბრუნებული შვილი მშობელს ეუბნება:

– მამა, რატომ გგონია, რომ რადგან დაბადების დღეზე ვიყავი, უეჭველად დავთვრებოდი?

– მე მამა კი არა, დედა ვარ.

•••

სიდედრი სიძეს ეუბნება:

– ეეჰ, ახალგაზრდობაში როგორი სულელი ვიყავი.

– ახლაც ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დათო ევგენიძე საავადმყოფოში გადაიყვანეს

კომპოზიტორი და პოეტი დათო ევგენიძე ჯანმრთელობის გაუარესების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ჯგუფმა „ალეგრომ“ გაავრცელა, რომელიც „ვოისში“ დათო ევგენიძის გუნდში იყო:

– ჯგუფ „ალეგროს“ თაყვანისმცემლებო, მძიმე საკონკურსო პირობების ფონზე, მაესტრო დავით ევგენიძის ჯგარმთელობა გაუარესდა და საავადმყოფოშია. „ალეგროსთან“ მიმართებით შექმნილ და არამარტო საკონკურსო პირობებებიდან გამომდინარე იძულებითი გადაწყვეტილების ფონზე მოუწია საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილების მიღებაც. „ალეგრო“ ფინალს გამოეთიშა. თუ შანსი მოგვეცემოდა?! ჩვენ ვეცადეთ და ვემზადებოდით კიდევ დიდი, ფართო საქართველოს პირველი არხის მაყურებელთათვის ფინალში გვემღერა. ყველამ ვიცით, ფინალის ნახვის, მოსმენის მაღალი მოლოდინი არის მაყურებელთა მხრიდან, იმ ფინალში, სადაც ნიჭიერება და ხალხი წყვეტდა მომავალი ევროვიზიის კანდიდატის ვინაობას. მაესტრო, გამოჯანმრთელებას გისურვებთ. ჩვენ თქვენ გვერდით ვართ.

პაატა ბარათაშვილი საქართველოს სამეფოს გვირგვინის ორდენით დაჯილდოვდა

მსახიობი პაატა ბარათაშვილი საქართველოს სამეფოს გვირგვინის ორდენით დაჯილდოვდა. დაჯილდოების ცერემონიალი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში შედგა, სადაც რეჟისორმა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ გურამ დოჩანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლის პრემიერა გამართა.

საქართველოს სამეფოს გვირგვინის ორდენი სამსახიობო ხელოვნებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის და 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით პაატა ბარათაშვილს ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ გადასცა.

ეროვნული მუზეუმი 10 საუკეთესო ისტორიულ მუზეუმს შორის დასახელდა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ამერიკული ონლაინგამოცემის 10 საუკეთესო ისტორიულ მუზეუმს შორის მოხვდა.

ეროვნული მუზეუმისადმი მიძღვნილი ვრცელი სტატიის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური საგანძურიდან ყველაზე შთამბეჭდავი ქართული პრეისტორიული სამეფოების ოქროსა და ვერცხლის რელიკვიებია.

დმანისის სიონში ორბელიანთა ისტორიული სასაფლაო განადგურდა



– ენით აღუწერელი საშინელება და ბარბაროსობა მოხდა დმანისის სიონის ისტორიულ საკათედრო ტაძარში, რომელიც არავინ შეიმჩნია, – ამბობს დეკანოზი ილია ჭიღლაძე და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

– ამდენი წელია, არავის ხმა არ ამოუღია. დმანისის ეპისკოპოს ზენონის მოწადინებით 2006 წელს იატაკის გამოცვლის დროს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შემდგომ არქეოლოგმა ჯუმბერ კოპალიანმა ამოთხარა XVII–XVIII საუკუნეების ორბელიანთა ნეშტები და ერთად ჩამარხა ტაძრის ერთ-ერთ ეკვდერში, ხოლო ეპიგრაფიკული საფლავის ქვები ტაძრის გარეთ კარიბჭეში გამოყარა და დაყარა. ტაძარში დააგეს ახალი იატაკი – იმერეთის ყვითელი გამარმარილოებული კირქვა, სვეტიცხოვლისა და სამთავროს ახალი იატაკების მსგავსი, ხოლო ტაძარში ყველა საფლავი გაანადგურეს. ეს საფლავები და მათი წარწერები თავის დროზე დეტალურად შეისწავლა და აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა. იხილეთ მისი „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები“. ექვთიმე თაყაიშვილი წერს, რომ ჭუჭყით დაფარულ იატაკში 12 საფლავის ქვა გამოავლინა, აქედან 10 – წარწერიანი, 2 კი – უწარწერო. 10 წარწერიანი ქვიდან 9 ქვაზე ირკვეოდა დაკრძალულთა ვინაობა, ერთზე კი, წარწერის დიდი დაზიანების გამო, წაშლილი იყო ვინაობა. დიდი მეცნიერი შენიშნავს, რომ საჭიროა მომავალში მკვლევრებმა უფრო გულდასმით შეისწავლონ ტაძარში არსებული საფლავების წარწერები. ამ 12 საფლავიდან დღეს მხოლოდ ერთია შენარჩუნებული – დასავლეთის კარიბჭეში დაკრძალული დმანელი ეპისკოპოსი, ხოლო 11 საფლავი ტაძრის ინტერიერში იყო და 2006 წელს გაანადგურეს. რას იფიქრებდა ექვთიმე ღვთისკაცი, რომ 100 წლის მერე თავად ქართველები საკუთარი ხელით წაშლიდნენ ამ ისტორიას ახალი „მომეტლახებული“, გაპრრიალებული იატაკის სურვილით აღვსილნი, ფეხი არ წამოეკრათ ძველ საფლავებზე, აბა რაა... აი, ასე არ დაინდეს წინაპართა საძვალე.

რა თქმა უნდა, პრობლემა და დანაშაული არის არა საფლავების გახსნა და მეცნიერული შესწავლა, არამედ მათი მოშლა-განადგურება, ხოლო თუ ისტორიული საფლავების აღება და გაუქმება აუცილებელი იყო, ასეთი აუცილებლობა არ არსებობდა, მაგრამ, დავუშვათ, იყო, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო შესაბამისი დადგენილებით ძეგლთა დაცვის უწყების მიერ და აკადემიური სიფრთხილით, თითოეული ნეშტი, იდენტიფიცირებული ეპიგრაფიკული წარწერებით და არაიდენტიფიცირებულები ახალ ინდივიდუალურ საძვალე ყუთებში დანომრილი და დახარისხებულები ჩალაგებულიყო და ისე დაკრძალულიყო ერთად ეკვდერის აკლდამაში და შესაბამისი მემორიალური დაფა გაკეთებულიყო, ხოლო რაც კოპალიანმა და იარაჯულმა ჩაიდინეს, ესაა ნამდვილი ბარბაროსობა და ისტორიის წაშლა, საფლავების განადგურება-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ქართველ პოეტ იოსებ მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. მხარე ბელგიაში; 4. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 5. გრამატიკის ნაწილი; 6. პროფესიონალი ცხენოსანი; 7. ქართული მინერალური წყალი; 9. ნარკოტიკებით წვრილმანი მოვაჭრე აშშ-ში; 13. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 17. ძვირფასი ლითონი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

თარაზულად: 1. ფიჭიანი თაფლი; 3. უბანი თბილისში; 8. დაქირავებული კავალერი; 10. ეგვიპტის მმართველთა ტიტული; 11. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 12. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 14. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული საესტრადო ანსამბლი; 15. მდინარე კახეთში; 16. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 19. ფრანგული პური; 20. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 21. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა